სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 ივნისი 2007 №137 (3060) ფასი 50 თეთრი

# ქართული ფეხბურთის სიმბოლო შოთა არველაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია!

# №1

მესამედაც და სამართლიანადაც




ბაჩო კოთილაძის ფოტო

## სარბიელის ტრადიციული, მეთხუთმეტე გამოკითხვის შედეგები



ბაჩო კოთილაძის ფოტო

შოთა არველაძე მესამედ გახდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. ვისაც ეს გაუკვირდა, მგონი, ის თავად არის გასაკვირი ადამიანი.

მეტიც, არც ის უნდა გაგიკვირდეთ, რომ, რაც საქართველო გათავისუფლდა, მისი ფეხბურთის სიმბოლო სწორედ შოთაა. სულ უბრალო მიზეზის გამო: სადაც მისულა, შოთას ყველგან ფეხბურთი უთამაშია და ეს სულაც არ ყოფილა უბრალო ფეხბურთი. გოლებშიც არ არის საქმე: ეს ფეხბურთია, ნამდვილი და ძლიერი და მორჩა.

ასეთი ჟინით, ერთგულებით, უწყვეტობით, ოსტატობით მოთამაშე კაცი საქართველოში დიდხანს იქნება საძებარი.

შოთა საუკეთესოა: ეს სიტყვები არც ვინმეს უკვირს და არც ვინმეს აბნევს, თვით ჩვენი ქვეყნის თავისებური ცხოვრების წესთაგან გამომდინარე.

აი, ჩვენი ფეხბურთელი: შეგვიძლია, ასეც ვთქვათ.

აი, ის, ვინც ყველაფერი გაიარა და თანაც, ისე, ნამდვილ თამაშს რომ შეშვენის...

# სანდრო იაშვილის საუკეთესო ნახტომი

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი კაცის პირველი დიდი პრიზი

ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ფეხბურთელები, რომლებიც არც შესაშური ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან და არც ექსტრავაგანტული გარეგნობით, მაგრამ გულშემატკივრების თვალში მთავარი ფიგურები არიან. მათი თამაში გარჩევის საგანია და ისინი ან ძალიან უყვართ, ან ძალიან არ უყვართ.

საქართველოს ჩემპიონატში ვინ არის ასეთი და, პირველ რიგში, თბილისის „დინამოს" ცენტრფორვარდი სანდრო იაშვილი. ფეხბურთელი, რომელმაც კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და ეს კარიერის პირველი პრიზით დაუფასდა — „სარბიელის" გამოკითხვით, იაშვილი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა!

# დინამომ ბაკურიანში ახლებიც იახლა
## სამი გერმანული მეტოქე


დინამოს პრესსამსახური

ბაკურიანს უკვე მეორე ქართულმა გუნდმა ჩააკითხა. თუ „ზესტაფონმა“ პირველი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა და საინტერტოტოო თამაშისთვის ახლა თბილისში ემზადება, კურორტს თბილისიდან „დინამო“ ეწვია და უეფას თასისთვის მზადებაც იქ დაიწყო.

„დინამო“ ბაკურიანში გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელებით, კამერუნელი რაიმონდ ვოუკოუეთი და ვიტჯორჯიელი ოლეგ გველესიანით ჩავიდა.

„დინამო“ ბაკურიანში შვიდი დღით დარჩება და თბილისში 21 ივნისს დაბრუნდება. 26 ივნისიდან კი დინამოელები ორი კვირით გერმანიაში წავლენ, სადაც ექვს ამხანაგურ მატჩს გეგმავენ, აქედან ბოლო სამი მეტოქის ვინაობა ცნობილია — 4 ივლისს „დინამო“ სპლიტის „ჰაიდუკს“ შეხვდება, 6-ში გერმანულ „ესენს“, ხოლო 9-ში ასევე გერმანულ იენის „კარლ ცაისს“.

დანარჩენ სამ გუნდთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბურდული დადასტურდა
## ზარია ქართველებს აგროვებს

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტური გუშინ გაიმართა, თუმც იქამდე ერთი ქართული ტრანსფერი უკვე ოფიციალურად დადასტურდა — კრივოი როგის „კრივბასის“ ნახევარმცველმა ლადო ბურდულმა ლუგანსკის „ზარიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



საქართველოს ნაკრების ფლანგელი კრივოი როგში „კრივბასის“ მაშინდელმა თავკაცმა ალექსანდრ კოსევიჩმა ჩაიყვანა. შემდეგ კოსევიჩი გაათავისუფლეს და მანაც ლუგანსკს მიაშურა.

კრივბასელთა ახალი მწვრთნელი ოლეგ ტარანი ბურდულს მაინცდამაინც არ სწყალობდა, სამაგიეროდ, შანსი ისევ კოსევიჩისგან წამოვიდა, რომელმაც ნაშეგირდალი თავის ახლანდელ გუნდში მიიწვია.

აქვე გეტყვით, რომ კოსევიჩს „კრივბასიდან“ კიდევ ერთი ქართველის, ვასილ გიგიაძის გადაბირებაც სურს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ „ზარიას“ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ნათხოვარი გიორგი ჭელიძის დატოვებაც უნდა, მაშინ, შესაძლოა, მომავალ სეზონში „ზარია“ უკრაინაში ყველაზე ქართულ გუნდად იქცეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონის ტესტი


თემურ მახარაძე

23 ივნისს „ზესტაფონი“ ინტერტოტოს თასზე კუშტანაის „ტობოლს“ შეხვდება.

იმერლებმა უკვე მოიარეს ბაკურიანი, სადაც შეკრების პირველ ეტაპზე იყვნენ და ახლა თბილისში ემზადებიან. „ზესტაფონმა“ ყაზახეთში წასვლამდე ტესტ-მატჩის გამართვაც მოასწრო — თბილისის „ლოკომოტივი“ 2:1 დაამარცხეს.

მატჩმა ზესტაფონელთა უპირატესობით ჩაიარა — მე-14 წუთზე ანგარიში იმერელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჟილვან ვიეირამ გახსნა. ტაიმის მიწურულს კი ნიკა კვასხვაძემ მეორე შეაგდო.

მეორე ტაიმში უპირატესობას ისევ „ზესტაფონი“ ფლობდა, თუმც ბურთი მის კარში გავიდა — 55-ე წუთზე საჯარიმოში მომხდარი არეულობისას გრიგოლ ჭანტურიას კარში ბურთი თანაგუნდელმა ჩაჭრა.

„ზესტაფონის“ მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ეს ფეხბურთელები ათამაშა: ჭანტურია (რ. კვასხვაძე 58), რ. ონიანი (დაუშვილი 56), ე. საჯაია (შ. ღონღაძე 46), სანტოსი, თოდუა (კ. ჩხეტიანი 46), ნ. კვასხვაძე (ბენაშვილი 46), ჟონატასი (ჯანელიძე 65), ხიდეშელი (გ. ჩხეტიანი 46), გ. ჭელიძე (ბ. გოცირიძე 61), ვიეირა (სანაია 61), ფიფია (ძარია 58).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შარშანდელი ფინალი

ზაზა დარასელის ხსოვნის ტურნირი დასასრულს უახლოვდება.

A ჯგუფიდან ნახევარფინალში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „მეორე არხი“ გავიდნენ, სადაც B ჯგუფის გამარჯვებულებს, „აფხაზეთის ტელევიზიას“ და „მზეს“ შეხვდნენ.

„აფხაზეთის ტელევიზიამ“ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ 3:1 მოუგო, ხოლო „მეორე არხმა“ 1:0 სძლია „მზეს“.

ასე რომ, როგორც შარშან, ფინალში ახლაც „მეორე არხი“ და „აფხაზეთის ტელევიზია“ ითამაშებენ.

ფინალური შეხვედრა ტრადიციულად, 20 ივნისს, ზაზა დარასელის დაბადების დღეს გაიმართება „ირაოს“ მოედანზე და 18 საათზე დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ტობოლი ჩემპიონატით ხურდება

თუ „ზესტაფონი“ ინტერტოტოს თასისთვის ტესტ-მატჩებით ემზადება, ყაზახეთში უკვე გახურებული ჩემპიონატია. იმერელთა მეტოქე კუშტანაის „ტობოლი“ მე-14 ტურში ყარაგანდას ეწვია და გიორგი გაბიდაურისა და ლევან მელქაძის „შახტიორთან“ 1:3 დამარცხდა. ამ წაგებით „ტობოლმა“ მეორე ადგილი სწორედ ყარაგანდელებს დაუთმო.

„შახტიორი“ ლატვიელი მიხოლაპსის გოლით მე-2 წუთზევე დაწინაურდა, მალე მანვე მეორეც გაიტანა.

„ტობოლის“ მწვრთნელმა დმიტრი ოგაიმ შეცვლებს პირველივე ტაიმში მიმართა და გამოიცნო კიდეც — ტაიმის მიწურულს იგორ იურინმა სხვაობა შეამცირა, თუმც მეორე ნახევარში ოლეგ კორნიენკომ მესამე გაიტანა და საბოლოოდ — 3:1.

ორივე გუნდს 26-26 ქულა აქვს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით მეორე ადგილზე „შახტიორია“, რომელიც ლიდერ „აქტობეს“ 5 ქულით ჩამორჩება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივმა ოთხი დაიტოვა

თბილისის „ლოკომოტივმა“ ხუთი დღეა, მზადება დაიწყო. თავიდან გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე ფეხბურთელებს „მიხეილ მესხის“ სტადიონზე და ვაკის პარკის ტერიტორიაზე მსუბუქად ავარჯიშებდნენ, დღეიდან კი გუნდი ბაზაზე გადაინაცვლებს და იქ გააგრძელებს მომზადებას.

„ლოკომოტივმა“ ტესტიც გამართა — ყაზახეთში წასასვლელად გამზადებულ „ზესტაფონთან“ 1:2 დამარცხდა.

როგორც გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, გამოსცადეს ის ფეხბურთელები, რომლებიც ისინჯებოდნენ და მათგან მხოლოდ ოთხი დაიტოვეს. ვინ არიან ესენი, ზამთარაძემ ამის თქმა ჯერ არ ისურვა.

აქვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი დაუმთავრდათ და გუნდი დატოვეს ვლადიმერ გოჩაშვილმა, მიხეილ სოსელიამ, შოთა ჩომახიძემ და ჭიჭიკო თუთბერიძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხოჯავამ თამაში გოლით დაიწყო

ქართველი ლეგიონერების გასული შაბათ-კვირა გოჩა ხოჯავას გოლით დავიწყოთ: ქართველმა გამთამაშებელმა მახაჩყალის „ანჟის“ მაისურით პირველი ბურთი შეაგდო — მე-3 წუთზე გაუტანა „ურალს“. დაღესტნელებმა კი ეს თამაში 2:1 მოიგეს.

რუსეთის პირველი დივიზიონის დასრულებამდე საკმაოდ ბევრია დარჩენილი და „ანჟიც“ პრემიერლიგის საგზურს ეპოტინება.

რუსულ პრემიერლიგაში კი ჩვენიანებს არაფრით გამოუჩენიათ თავი: ნალჩიკის „სპარტაკმა“ შინ 0:1 წააგო „ამკართან“. ალეკო ამისულაშვილმა 90 წუთი ითამაშა, ლევან გვაზავა კი არ გამოჩენილა.

წააგო დავით მუჯირის „კრილიამაც“, რომელსაც მეორე ადგილზე გადასვლამ ძალიან აწყინა და მას შემდეგ მიჯრით მეორედ დამარცხდა — ამჯერად ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძის გარეშე მოთამაშე „რუბინთან“ 0:1.

„მუმუმ“ 78 წუთი იბურთავა...

უკრაინის ჩემპიონმა კიევის „დინამომ“ კი ბოლო ტურში „არსენალი“ 1:0 დაამარცხა და ამ საქმეში ორი ქართველი დაიხმარა — კახა ალადაშვილმა სრულად ითამაშა, დავით იმედაშვილი კი შესვენების მერე გამოჩნდა მოედანზე.

**ილია ნანობაშვილი**




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლინდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 წუთზე.
ბილეთის ფასი: პარტერი-10 ლარი, ბალკონი-5 ლარი.
საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა,
ტელ.: +995-32-912671; +995-32-917126
ლიგის პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ადამიანისთვის 13 წელი დიდი დროა, ფეხბურთელისთვის — ძალიან დიდი. და რაღა უნდა ვთქვათ, შოთა არველაძეზე, რომელიც პირველად სწორედ 13 წლის წინ გახდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და ახლაც, კარიერის მიწურულს, კვლავაც რჩეულად შეიქნა?! ამ ცამეტ წელიწადში შოთა მესამედ გახდა საუკეთესო, მაგრამ ის მუდამ გამორჩეული იყო და ასეთად რჩება. გამორჩეულია შოთას ახლანდელი გამარჯვებაც, რადგან აქამდე არასდროს მომხდარა, საუკეთესოს ასეთი უპირატესობით მოეგოს. არც ის მომხდარა, რომ სპორტულ ჟურნალისტებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას გამოეჩინოთ ასეთი ერთსულოვნება — სანდრო იაშვილმა არნახული უპირატესობით გაიმარჯვა.*
*და ერთიც, „სარბიელის" წლევანდელ გამოკითხვაში თავად ჟურნალისტთა აქამდე არნახულმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა...*

# სარბიელის გამოკითხვა





## სარბიელის წინა თოთხმეტი გამოკითხვის გამარჯვებულები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1992-93 | გიორგი ქინქლაძე | 1999-00 | ლევან კობიაშვილი |
| 1993-94 | შოთა არველაძე | 2000-01 | კახა კალაძე |
| 1994-95 | აკაკი დევაძე | 2001-02 | კახა კალაძე |
| 1995-96 | გიორგი ქინქლაძე | 2002-03 | კახა კალაძე |
| 1996-97 | თემურ ქეცბაია | 2003-04 | ალექსანდრე იაშვილი |
| 1997-98 | შოთა არველაძე | 2004-05 | ლევან კობიაშვილი |
| 1998-99 | ზაზა ჯანაშია | 2005-06 | კახა კალაძე |

## საქართველოს 2006-07 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შოთა არველაძე | ალკმაარი (ჰოლანდია) | 56 | 7 | — | 301 |
| 2 | კახა კალაძე | მილანი (იტალია) | 6 | 32 | 8 | 134 |
| 3 | ლევან კობიაშვილი | შალკე (გერმანია) | 1 | 9 | 19 | 51 |
| 4 | ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი (გერმანია) | — | 2 | 8 | 14 |
| 5 | დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | 1 | — | 2 | 7 |
| 6 | ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი (ინგლისი) | — | 1 | 3 | 6 |
| 7 | გოგიტა გოგუა | სატურნი (რუსეთი) | — | 1 | 2 | 5 |
| | ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი (საბერძნეთი) | — | 1 | 2 | 5 |
| 9 | გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი (უკრაინა) | — | 1 | 1 | 4 |
| 10 | ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი (უკრაინა) | — | 1 | — | 3 |
| | დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | — | — | 3 | 3 |
| 12 | სანდრო იაშვილი | დინამო | — | — | 2 | 2 |
| 13 | ვასილ გიგიაძე | კრივბასი (უკრაინა) | — | — | 1 | 1 |
| | ზაალ ელიავა | სკონტო (ლატვია) | — | — | 1 | 1 |
| | ჯაბა კანკავა | დნიპრო (უკრაინა) | — | — | 1 | 1 |
| | გიორგი ლომაია | კარლ ცაისი (გერმანია) | — | — | 1 | 1 |

## საქართველოს XVIII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სანდრო იაშვილი | დინამო | 50 | 7 | 3 | 274 |
| 2 | გიორგი სეთურიძე | ოლიმპი | 1 | 10 | 4 | 39 |
| 3 | გრიგოლ დოლიძე | ამერი | — | 9 | 11 | 38 |
| 4 | გოგი ფიფია | ზესტაფონი | 2 | 5 | 4 | 29 |
| 5 | თორნიკე აფციაური | ოლიმპი | 3 | 3 | 3 | 27 |
| 6 | გიორგი ონიანი | ოლიმპი | 1 | 5 | 5 | 25 |
| 7 | ზურაბ ქვაჩახია | ამერი | 2 | 3 | 2 | 21 |
| 8 | დავით დილმელაშვილი | ვიტ ჯორჯია/დინამო | 1 | 3 | 3 | 17 |
| 9 | ლევან ყენია | ლოკომოტივი | 1 | 2 | — | 15 |
| 10 | სანდრო კობახიძე | დინამო | — | 4 | — | 12 |
| | დიმიტრი ტატანაშვილი | ამერი | — | 3 | 3 | 12 |
| 12 | რატი ნინამძღვრიშვილი | ამერი | 1 | — | 4 | 9 |
| 13 | დავით ბოლქვაძე | ამერი | — | 2 | 2 | 8 |
| 14 | გიორგი კახელიშვილი | ოლიმპი | 1 | — | — | 5 |
| | გიორგი მერებაშვილი | დინამო | — | 1 | 2 | 5 |
| 16 | რევაზ გოცირიძე | ოლიმპი | — | 1 | 1 | 4 |
| 17 | სულიკო დავითაშვილი | ამერი | — | — | 2 | 2 |
| | ზურაბ იონანიძე | ზესტაფონი | — | — | 2 | 2 |
| 19 | დენის დობროვოლსკი | ამერი | — | — | 1 | 1 |
| | ჟილვან ვიეირა | ზესტაფონი | — | — | 1 | 1 |
| | ალექსანდრე კვახაძე | ვიტ ჯორჯია | — | — | 1 | 1 |
| | გიორგი ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია/დინამო | — | — | 1 | 1 |
| | შალვა ლონლაძე | ზესტაფონი | — | — | 1 | 1 |

| | | საქართველოს 2006-07 წლების საუკეთესო ფეხბურთელი | | | საქართველოს XVIII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი | 24 საათი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | აფციაური | ს. იაშვილი | ვიეირა |
| მიხეილ აფხაზავა | სპორტსიახლენი | კალაძე | არველაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | დოლიძე | გოცირიძე |
| გიო ახვლედიანი | სარბიელი | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | — | — |
| ილია ბაბუნაშვილი | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ხიზანიშვილი | ს. იაშვილი | კობახიძე | დობროვოლსკი |
| დავით ბაკურაძე | მსოფლიო სპორტი | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | ონიანი | დოლიძე |
| დავით ბანანაშვილი | იმედი | არველაძე | კალაძე | კვირკველია | ს. იაშვილი | ონიანი | მერებაშვილი |
| ელენე ბოლიხოძე | პირველი რადიო | კალაძე | არველაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | დოლიძე | სეთურიძე |
| პაატა ბურჯალიანი | პფლ-ის პრესსამსახური | არველაძე | კალაძე | ხიზანიშვილი | ს. იაშვილი | დოლიძე | ნინამძღვრიშვილი |
| პაატა გელაშვილი | ლელო | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | სეთურიძე | დავითაშვილი |
| გოგა გვენცაძე | იმედი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | მერებაშვილი | დილმელაშვილი |
| აკაკი გვიმრაძე | რეზონანსი | კალაძე | არველაძე | კობიაშვილი | ფიფია | ბოლქვაძე | ს. იაშვილი |
| ლაშა გოდუაძე | სფფ-ის პრესსამსახური | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | დილმელაშვილი | სეთურიძე | ს. იაშვილი |
| გიორგი გულბანი | საზოგადოებრივი მაუწყებელი | არველაძე | კალაძე | ს. იაშვილი | ს. იაშვილი | ონიანი | დილმელაშვილი |
| ვაჟა დანელია | საქართველოს რესპუბლიკა | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | აფციაური | ბოლქვაძე |
| ვახტანგ დათიაშვილი | ოლიმპი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | სეთურიძე | დავითაშვილი |
| ბიძინა დარჩია | ფაზისი TV | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ქვაჩახია | ს. იაშვილი | ონიანი |
| გიორგი დარჯანია | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | ქვაჩახია | ტატანაშვილი |
| მიხეილ დუმბაძე | საზოგადოებრივი მაუწყებელი | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | დოლიძე | სეთურიძე |
| ეკა ელოშვილი | მსოფლიო სპორტი | არველაძე | ა. იაშვილი | კვირკველია | ს. იაშვილი | დოლიძე | ფეიქრიშვილი |
| დავით ერაძე | რუსთავი 2 | არველაძე | კალაძე | ლომაია | ს. იაშვილი | დოლიძე | კვახაძე |
| გია ეჯიბია | ფაზისი TV | მუჯირი | არველაძე | ელიავა | ს. იაშვილი | გოცირიძე | ფიფია |
| გიორგი ვაჟაკიძე | სარბიელი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ტატანაშვილი | ონიანი |
| ლაშა თაბაგარი | მსოფლიო სპორტი | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | სეთურიძე | დოლიძე |
| დავით თავართქილაძე | ლელო | არველაძე | ა. იაშვილი | — | ს. იაშვილი | ფიფია | ონიანი |
| პაატა თოთაძე | ლელო | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | დოლიძე | ფიფია |
| კობა ინასარიძე | სარბიელი | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | — | — |
| ალეკო კაკაურიძე | ოლიმპი | არველაძე | კალაძე | ცქიტიშვილი | ს. იაშვილი | სეთურიძე | ნინამძღვრიშვილი |
| ფრიდონ კერვალიშვილი | ჟურნალი ჩვენებური | არველაძე | კალაძე | დემეტრაძე | ქვაჩახია | ს. იაშვილი | სეთურიძე |
| სოსო კოტორეიშვილი | 24 საათი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ბოლქვაძე | აფციაური |
| დავით კობრეიძე | ლელო | კალაძე | არველაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ფიფია | სეთურიძე |
| ნუკრი ლოლაძე | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | ტატანაშვილი | დილმელაშვილი |
| მერაბ მამულაშვილი | ლელო | არველაძე | გოგუა | კვირკველია | ს. იაშვილი | ონიანი | დოლიძე |
| დიმიტრი მარინაშვილი | რადიო იმედი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | აფციაური | ს. იაშვილი | დოლიძე |
| კახა მგელაძე | ოლიმპი | არველაძე | ხიზანიშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | სეთურიძე | დოლიძე |
| დავით მინაშვილი | საზოგადოებრივი მაუწყებელი | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | — | — |
| ილია ნანობაშვილი | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ს. იაშვილი | ს. იაშვილი | ფიფია | ტატანაშვილი |
| ნუკრი ნეფარიძე | ლელო | არველაძე | კობიაშვილი | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | ფიფია | ონიანი |
| დიმიტრი ობოლაძე | რუსთავი 2 | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ყენია | ქვაჩახია |
| თენგიზ პაჭკორია | იტარ-ტასი | არველაძე | კალაძე | კანკავა | ს. იაშვილი | სეთურიძე | იონანიძე |
| გია პლატონიშვილი | საქართველოს რესპუბლიკა | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | — | — |
| მიხეილ ჟორჟოლიანი | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | დილმელაშვილი | დოლიძე |
| მიხეილ საბახტარაშვილი | სფფ-ის პრესსამსახური | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ფიფია | ნინამძღვრიშვილი |
| ლევან სალუქვაძე | იმედი | არველაძე | — | — | ს. იაშვილი | კობახიძე | მერებაშვილი |
| ბაჩო სვანიძე | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | ქვაჩახია | ტატანაშვილი |
| გია ტუხაშვილი | ლელო | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | სეთურიძე | დოლიძე |
| ვასილ უდუმაშვილი | 24 საათი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | აფციაური | ბოლქვაძე |
| ჯემალ ფარცახაშვილი | რუსთავი 2 | არველაძე | — | — | სეთურიძე | — | — |
| დავით ფრანგიშვილი | რუსთავი 2 | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | — | — | — |
| მამუკა ქანთარია | ლელო | არველაძე | კალაძე | ხიზანიშვილი | ს. იაშვილი | ონიანი | ნინამძღვრიშვილი |
| ზურაბ ქსოვრელი | მსოფლიო სპორტი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | დილმელაშვილი | დოლიძე |
| კახა შალამბერიძე | სარბიელი | არველაძე | კალაძე | ა. იაშვილი | ს. იაშვილი | ქვაჩახია | ონიანი |
| რატი შელეგია | კვირის პალიტრა | არველაძე | კობიაშვილი | კალაძე | ს. იაშვილი | სეთურიძე | აფციაური |
| რევაზ შენგელია | სფფ | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | კობახიძე | ქვაჩახია |
| დავით ცაბაძე | ლელო | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | სეთურიძე | იონანიძე |
| ზაზა ცინცაძე | სარბიელი | არველაძე | კობიაშვილი | გოგუა | ფიფია | ტატანაშვილი | ს. იაშვილი |
| ლაშა ნიკლაური | 11x11 | არველაძე | კალაძე | მუჯირი | ს. იაშვილი | აფციაური | დილმელაშვილი |
| ზაზა ნულაძე | PAPRESS | კალაძე | არველაძე | კობიაშვილი | ს. იაშვილი | ყენია | დოლიძე |
| გიორგი ქინქარაული | რადიო ჯაკო | არველაძე | კალაძე | მუჯირი | ნინამძღვრიშვილი | კობახიძე | აფციაური |
| ვაჟა ხუციშვილი | სარბიელი | არველაძე | დემეტრაძე | გოგუა | ს. იაშვილი | დოლიძე | ფიფია |
| გოჩა ჯანაშია | სარბიელი | არველაძე | კალაძე | კობიაშვილი | ონიანი | ს. იაშვილი | ლონლაძე |
| ლევან ჯანეზაშვილი | ლელო | არველაძე | ცქიტიშვილი | გიგიაძე | ს. იაშვილი | დოლიძე | ფიფია |
| თემურ ჯაფარიძე | საზოგადოებრივი მაუწყებელი | კალაძე | — | — | ყენია | — | — |
| მიხეილ ჯორბენაძე | პირველი სტერეო | არველაძე | კანდელაკი | კობიაშვილი | აფციაური | ს. იაშვილი | დოლიძე |
| პაატა ძნელაძე | ოლიმპი | კობიაშვილი | არველაძე | ცქიტიშვილი | კახელიშვილი | ს. იაშვილი | დოლიძე |

# შოთა არველაძე: მიყვარხართ, გმადლობთ!

ერთი თვეც და, მერე უკვე ზუსტად გეტყვით, გავაგრძელებ თუ არა ფეხბურთელის კარიერას და, თუ გავაგრძელებ, სად და როგორო — ეს სიტყვები საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა შოთა არველაძემ გუშინ ამ ინტერვიუს ჩაწერამდე გვითხრა. ის ახლა საკლუბო კარიერაზე ფიქრობს — სანაკრებოს დამთავრებაზე ამ ერთი თვის წინ გამოაცხადა. შოთა ახლა ერთ, გამოსამშვიდობებელ სანაკრებო შეხვედრასაც ჩაატარებს და მორჩა... წესით და რიგით კი, ასეთ დროს საუკეთესო ფეხბურთელთან ინტერვიუც სხვანაირი უნდა იყოს — ბავშვობის გახსენებით დაწყებული, დღემდე მოყოლებული, ზოგადიც და კონკრეტულიც.

ათასი კითხვაა და ერთი ამდენი ისეთიც, რომელიც უცხოეთიდან რამდენიმე საათის დაბრუნებულ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთან სტუმრობისას, მილოცვა-მოკითხვისას არც გახსენდება. თუმცა ახლა თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ მკითხველმა შოთა არველაძეზე და მის საფეხბურთო კარიერაზე ისედაც ბევრი იცის და თუ ამ ორ საგაზეთო გვერდში შოთას შესახებ ყველაფერი ვერ ჩავატიეთ, ძალიანაც არ გაგვკიცხავს. მოკლედ, შოთა არველაძე ისევ საუკეთესოა, ჩვენი რჩეული ის წლეულს მესამედ გახდა. ვულოცავთ და დავიწყოთ...



— შოთა, მოდი, ტრადიციას ნუ დავარღვევთ. გახსოვს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელისთვის გამზადებული პირველი კითხვა?

— ველოდი თუ არა საუკეთესოობას?

— დიახ.

— იქიდან გამომდინარე, რომ აქტიური სეზონი მქონდა, მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ჩემი ასაკის გათვალისწინებით, პირველობაში ბოლომდე დარწმუნებულიც არ ვიყავი. ძალიან გამახარეთ, დიდი მადლობა.

— შენთვისაც რომ გვეკითხა, საუკეთესოთა სამეულს როგორი თანმიმდევრობით ჩამოწერდი?

— ჩემს გარდა სამეულში კახა კალაძე და ალექსანდრე იაშვილი იქნებოდნენ. კალაძემ ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ნაკრებშიც ძლიერად ითამაშა. იაშვილს კი ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჰქონდა, კლუბშიც გამორჩეული იყო და ეროვნულ გუნდშიც კარგად ითამაშა.

— ამ პრიზის გარდა, ეს სეზონი შენთვის დასამახსოვრებელი რითი იქნება?

— იმით, რომ ყველაფერი უნდა მომეგო და ვერაფერი მოვიგე. უნდა მომეგო ჰოლანდიის ჩემპიონატი, ვერ მოვიგე. უნდა მომეგო თასი, ვერ მოვიგე. ჩემპიონთა ლიგის საგზურთანაც ახლოს ვიყავი, არც ეს გამომივიდა, ნაკრებშიც რამდენიმე ნაღდი მოსაგები მატჩი გვქონდა, წავაგეთ... ხელმოცარული დავრჩი. არადა, „ალკმაარს“ ჩემპიონატი რომ მოეგო, კლუბის ისტორიაში გამორჩეული ადგილი მექნებოდა — გუნდი ჩემპიონის ტიტულს 26 წლის შემდეგ ჩემი კაპიტნობით მოიპოვებდა. სამწუხაროდ, არ გამოვიდა.

— არგამოსვლის მიზეზი მხოლოდ უიღბლობაა?

— რა ვიცი, ალბათ... ეს ხომ ფეხბურთია...

— ცოტაც და, ფეხბურთელის კარიერას დაასრულებ. რას გრძნობ ახლა, როცა საბოლოო გადაწყვეტილების პირას ხარ?

— იცით, წინ რომ ვიყურები, რაღაც სიცარიელეს ვხედავ. ექვსი წლიდან დღემდე ფეხბურთს ვთამაშობ. ექვსი წლიდან ოცნებად მქონდა ნაკრებში და დიდ გუნდებში თამაში. ბევრი გოლი, ჯილდოები, ახლა კი... არ ვიცი, ვერ გიპასუხებთ. აგერ ჩემი ტყუპისცალის, არჩილის მაგალითი მაქვს, ის ფეხბურთის თამაშს ადრე კი შეეშვა, მაგრამ დღეს ისევ ფეხბურთშია და უფეხბურთოდ მას თავიც ვერ წარმოუდგენია. ასეა საშა ჩივაძეც და ასე იყო ცხონებული დათო ყიფიანიც. შოთა არველაძე უფეხბურთოდ ვერ დარჩება. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და ფეხბურთს თავს ვერ დავანებებ. ისე ველარ ვითამაშებ, როგორც ახლა, ასეთ გოლებს ველარ გავიტან, ეს ტიტულებიც აღარ მექნება... შოთა არველაძეს ჰყავს ოჯახი, ჰყავს შვილები, ახლობლები, ღმერთმა კარგად მიმყოფოს ისინი და შოთა არველაძეს აქვს ფეხბურთი, რის გარეშეც მისი ცხოვრება წარმოუდგენელი იქნება.

— ითქვა, ფეხბურთელ შოთა არველაძეს მომავალში მწვრთნელი შოთა არველაძე შეცვლისო. მწვრთნელობას აპირებ?

— არ ვიცი, ეს ჯერ კიდევ გადასაწყვეტი მაქვს.

— შენს საფეხბურთო კარიერაში ყველაზე ლამაზი მომენტი რომელი იყო?

*შოთა არველაძე წამით დაფიქრდა, ხელები გაშალა და ნელ-ნელა, მძიმედ დაიწყო...*

— თუნდაც თბილისის „დინამოში“ მოხვედრა, თუნდაც თურქეთში, „ტრაბზონში“ წასვლა და იქიდან „აიაქსში“ გადასვლა. ამსტერდამში გატარებული წლები. მერე „რეინჯერსი“...

*შოთა თან ლაპარაკობდა, თან მართლაც შთამბეჭდავ კარიერას იხსენებდა, ტყუპისცალს გადახედა და უკვე დამუხტულმა ემოციურად განაგრძო...*

— იმ დღეს რა დამავიწყებს, როცა ჩემს და ყველა ქართველისთვის საოცნებო „დინამოში“ არჩისთან ერთად მივედი. თავი ზღაპარში მეგონა, იმ სიხარულს ვერ გადმოგცემთ. შემდეგ იყო თურქეთი და „ტრაბზონთან“ პირველი უცხოური კონტრაქტის გაფორმება, რამდენიმე თვის შემდეგ კი ისეთი პატივისცემა, რასაც ცხოვრების ბოლომდე ვერ დავივიწყებ. მერე „აიაქსი“... „აიაქსში“ რომ მივდიოდი, ვიღაც-ვიღაცები მეკითხებოდნენ, მეორე გუნდში უნდა ითამაშოო?! რა უნდა მეპასუხა, ვნახავ-მეთქი... ჩავედი ამსტერდამში, ჰოლანდიის ჩემპიონი გავხდი, ბომბარდირი... ლაუდრუპის, ძმები დე ბურების, ბლინდის, ლიტმანენის, ვიჩგეს, ვინტერის გუნდი იყო მაშინ „აიაქსი“ და მე ჩემი გამორჩეული ადგილი მქონდა. მოგვიანებით შოტლანდია, „რეინჯერსი“ და იქაც წარმატება. არ ვიცი, რომელი ერთი უნდა გამოვყო, ჩემს კარიერაში ბევრი ლამაზი წუთი იყო...

...გლაზგოში თამაშისას მუხლი ამტკივდა და ვისვენებდი, ამ დროს კი ჩემთან არჩი იყო, „რეინჯერსი“ „სელტიკთან“ მატჩისთვის ემზადებოდა. არჩი შინ ამ მატჩამდე ბრუნდებოდა და შუა ღამით უნდა გამოფრენილიყო. აღარ გამიცილებია, ჩამეძინა და არც მან გამაღვიძა. დილით კი მაგიდაზე წერილი დამხვდა: „შოთი, არ ინერვიულო, „სელტიკთან“ მატჩამდე აუცილებლად გამოჯანმრთელდები და გოლსაც გაიტან, მე შენზე ვილოცებ! გკოცნი“ — ეს წერილი დღემდე ჯიბეში მაქვს. აი, ასეთი ამბებიც იყო ჩემს კარიერაში...

*ამ ამბის შემდეგ, ეტყობა, მეც დავიმუხტე და არქივში ის ორი „სარბიელი“ მოვძებნე, პირველ გვერდზე შოთა „სარბიელის“ პრიზით ხელში რომ იყო. შოთა არველაძე ჩვენი გამოკითხვით სწორედ 1994 წელს გახდა საუკეთესო ფეხბურთელი. გადავფურცლე 1994 წლის 14 ივნისის „სარბიელი“ და ვკითხულობ: „ეს სეზონი ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო. უცხოელ ფეხბურთელებთან თამაშმა ისეთი გამოცდილება შემძინა, შინ ვერ მივიღებდი. გარდა ამისა, დიდი რეკლამაც გამიკეთდა ევროპაში“ — თქვა მაშინ შოთა არველაძემ. იმავ ინტერვიუში შოთა ამასაც ამბობს: „სხვათა შორის, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიძლევი ინტერვიუს არჩილი გარეშე“.*

*გუშინ არჩილი ჩვენთან ერთად იყო და, ვიდრე შოთა საუბრობდა, ის ელფოსტას ათვალიერებდა და, პერიოდულად, შოთას ცნობილი ხალხისგან გამოგზავნილ წერილებს უკითხავდა... მოულოდნელად არჩილმა თურქულად კითხვა დაიწყო. ვერაფერი გავიგე. შოთა გადავითარგმნისო, მომიბრუნდა არჩილი.*

— 40 წელი ფეხბურთში ვარ და

## შოთა არველაძე

22.02.73

| | | | |
|---|---|---|---|
| 1990-91 | მართვე | 30 | 33 |
| 1990-92 | იბერია | 37 | 25 |
| 1992-93 | დინამო | 23 | 18 |
| 1993-94 | ტრაბზონსფორი | 18 | 15 |
| 1994 | დინამო | 15 | 19 |
| 1994-97 | ტრაბზონსფორი | 78 | 46 |
| 1997-01 | აიაქსი | 96 | 55 |
| 2001-05 | რეინჯერსი | 95 | 44 |
| 2005- | ალკმაარი | 60 | 36 |

*საქართველოს ეროვნულ ნაკრებში: 53 მატჩი, 22 გოლი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ძმებ არველაძეებთან ერთად დაუვიწყარი სიხარული განვიცადე... — თარგმნის შოთა — მომავალში მათთან ერთად კიდევ სიამოვნებით ვიმუშავებ, მადლობა მათ ბევრი სიხარულისთვის!

*შორს ნუღარ წავალთ, ეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მესამე პრიზიორის, თურქეთის ნაკრების მწვრთნელ შენოლ გიუნეშის წერილი იყო. შოთა ავტობიოგრაფიულ წიგნს წერს და გიუნეშის, ლაუდრუპის, დე ბურების, ოლსენისა და კიდევ სხვა ცნობილი ხალხის სიტყვებს ალბათ ამ წიგნისთვის გამოიყენებს. სხვათა შორის კი, ესეც ვთქვათ, რომ ქართველ ფეხბურთელთა შორის შოთა არველაძე პირველი ავტობიოგრაფიული წიგნის ავტორი იქნება...*



— შოთა, როდის გამოვა ეს წიგნი?

— ალბათ აგვისტოში.

— *მოესწრება? — კითხულობს არჩილი.*

— მოსასწრებიც რაღაა, თითქმის ყველაფერი მზადაა, აგვისტოში თუ არა, სექტემბერ-ოქტომბერში იქნება — პასუხობს შოთა.

— წიგნი მხოლოდ ქართულ ენაზე იქნება?

— ჯერჯერობით მხოლოდ ქართულად, შემდეგ ვნახოთ...

— მოდი, ახლა საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ. ამას წინათ ერთ-ერთ რუსულ არხზე შემთხვევით საფეხბურთო გადაცემას შევესწარი. ჩემმა კოლეგა მიხაილ მელნიკოვმა საქართველოს ნაკრებზე ჩამოაგდო სიტყვა, საკმაოდ სახელოვანმა რუსმა ფეხბურთელებმა კი თქვეს, რუსეთზე, უკრაინაზე, ცხადია, ლატვიაზე ადრე, გვეგონა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საქართველო ითამაშებდაო. საქართველოში ამის თაობაზე სხვას თუ ეკითხები, შოთა არველაძესაც უნდა ჰკითხო. რატომ არ მოხდა ასე?

— როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იშლებოდა, უმაღლეს ლიგაში ერთდროულად თუ არა, სამი ქართული გუნდი მაინც თამაშობდა. „დინამო" ყოველთვის უმაღლესში იყო, „ტორპედო" და „გურია" კი თითქმის მონაცვლეობით. სამი გუნდი დაახლოებით 70 ფეხბურთელია, ხოლო თავის დუბლშემადგენლობებიანად 100-ზე მეტი. მაშინ ასევე ერთმანეთზე უკეთესი იყვნენო, ვერ ვიტყვი, მაგრამ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის, თუნდაც დუბლების ფეხბურთელი, მაღალი კლასის რომ იქნებოდა, ეს ალბათ სალაპარაკოც არ არის. საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში რუსეთ-უკრაინის შემდეგ ყველაზე მეტი გუნდი საქართველოს ჰყავდა, შესაბამისად კი, ფეხბურთელებიც. საბჭოთა ჩემპიონატიდან გამოყოფის მერე ჩვენ სვლა ინერციით გავაგრძელეთ და ევროპის ჩემპიონატის პირველივე შესარჩევ ჯგუფში ჩვენთან გერმანია და ბულგარეთი რომ არ ყოფილიყვნენ, ღმერთმა იცის, საბჭოთა კავშირიდან ევროპის ჩემპიონატზე ეგებ მართლაც პირველებს გვეთამაშა. თუ გახსოვთ, მაშინ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ ბულგარეთს მოვუგეთ კიდეც, მაგრამ მოლდოვასთან დაკარგული ექვსი ქულა ძვირად დაგვიჯდა. მოგვიანებით უკვე განვითარების სხვა ეტაპი დაიწყო და, როცა სხვა ქვეყნები ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდნენ, ჩვენი ქვეყანა უკან-უკან მიდიოდა. ფინანსურ-ეკონომიკური საქმეები გაუმჯობესების ნაცვლად უარესდებოდა...



— რით შეიძლება, ეროვნულ გუნდს მომავალში ეშველოს?

— ეროვნული ჩემპიონატი უნდა განვითარდეს და საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერზე დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელი მომავალში არ დავნიშნოთ. კარგია, როცა ეროვნული ჩემპიონატი ნელ-ნელა უფრო პოპულარული ხდება და სპონსორებიც მომრავლდნენ. კარგია, როცა სტრუქტურულად აწყობილი გუნდების რაოდენობა იზრდება, კარგია, როცა ჩემპიონატისა თუ თასი მატჩების რეპორტაჟებით ტელევიზიები დაინტერესდნენ... ადრე ხალხს ფულს იქით უხდიდნენ, რომ თამაშებს დასწრებოდნენ, ახლა კი სხვანაირადაა, ხალხს ნელ-ნელა ქართული ფეხბურთი ისევ აინტერესებს და ნელ-ნელა ფულის გადახდასაც იწყებს. ქართულ ფეხბურთს შესაბამისი რეკლამა ჯერ კიდევ აკლია, როცა ის, როგორც პროდუქტი, სათანადოდ შეიფუთება, მერე ჩვენი საქმე უკეთ იქნება...

*შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატზე საუბარს შევყევით, შოთამაც თქვა და ჩვენც დავეთანხმეთ, საერთო აზრიც ასეთია — ეროვნული ჩემპიონატის განვითარებით ეროვნული გუნდიც უფრო განვითარდება... ამ საუბარ-საუბარში კი, არჩილიც ხშირად რომ ერთვებოდა, ასე ვთქვათ, „თავისუფალ თემასაც" მივადექით...*



— ფეხბურთელ შოთა არველაძის ერთი ჩვეულებრივი დღე როგორია?

— განსაკუთრებული არაფერი. ცხრის ნახევარზე ვიღვიძებ, მივირთმევ ხოლმე გერკულესის ფაფას და მივდივარ ვარჯიშზე. ვივარჯიშებ გუნდთან ერთად და, თუ ცუდ ხასიათზე ან ძალიან დაღლილი არ ვარ, ვარჯიშს ველოსიპედით ვაგრძელებ. შუადღის 1 საათზე ვსადილობ და შემდეგ, ოჯახიდან რამე თუ არ დამავალეს, შინ მივდივარ. ვუყურებ ტელევიზორს, მეტწილად, ქართულ არხებს, ჩემი ვაჟის, გიორგის ვარჯიშებს ვესწრები, გარკვეულ მითითებებს ვაძლევ და საღამოს ან ისევ შინ ვარ, ან ქალაქში სავახშმოდ გავდივართ. 12 საათზე ადრე ვერ ვიძინებ...

— ფაფა გიყვარს თუ აუცილებელია?

— კუჭი წამომტკივდება ხოლმე და ფაფა ტკივილს მიამებს.

— ცუდ ხასიათზე მყოფი შოთა არველაძე, მგონი, ბევრს ვერც წარმოუდგენია... რა გაღიზიანებს?

— ყველაფერი, რაც არანორმალურია. ვერ ვიტყვი, რომ ეს ან ის საქციელი მაღიზიანებს. შესაძლოა, ერთი შეხედვით, სულ მარტივზე მომეშალოს ნერვები. სიტუაციას გააჩნია. ცუდ ხასიათზე ვარ ხოლმე, როცა პრობლემებზე ვფიქრობ, პრობლემებზე კი, გინდა თუ არა, ვფიქრობ.

— ორიოდ კვირის წინ საქართველოს ნაკრების მატჩის რეპორტაჟიც წაიყვანე...

— კი, ასე იყო.

— დებიუტი გქონდა, არა?

— დიახ. დრე, შოტლანდიაში და ჰოლანდიაშიც მთხოვეს კომენტატორობა, მაგრამ უდროობის გამო ეს არ გამოვიდა.

— მერე როგორი იყო „ჟურნალისტობა"?

— ძნელი, ძალიან ძნელი, ადვილი ნამდვილად არ ყოფილა...

— ბოლოდროინდელ რაიმე სასაცილო ამბავს ვერ მოგვიყვები?

*შოთამ არჩილს გახედა, შემდეგ ორივემ გაიცინეს და...*

— თბილისში ამას წინათ ვიყავი. არჩილი 35-ე საფეხბურთო სკოლის თანამშრომლებს ემშვიდობებოდა და მეც იქ ვიყავი. მოდის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი ოპერატორთან ერთად და კითხვაც-კითხვაზე მოაქვს. ვპასუხობ, ასე, ისე, თითქოს სკოლის საქმეებში მაგარი ჩახედული ვიყო. შემდეგ დირექტორის კაბინეტში გადაღება მთხოვეს, გავყევი და, ბუნებრივია, არჩილიც თან გამომყვა. შევედით კაბინეტში, იქ კი მაგიდა, სკამი, ყიფიანისა და ჩივაძის ფოტო და პირადი ნივთებია. ახალ სამსახურში აქედან რას წაიღებთო — მეკითხებიან. წასაღებიც რა არის, ამ ფოტოს და ნივთებს, კარს ხომ არ წავიღებ-მეთქი. კიდევო? — ჩამაცივდნენ. კიდევ, რასაც აჩი გამატანს-მეთქი, ვუპასუხე და მაშინ მიხვდნენ, შოთა რომ ვიყავი და არა აჩი.

— ისე, შენი მუხლის ამბავიც უნდა ვიკითხო...

— ამ ფეხს თუ არ ვარბენინებ არ მტკივა, ისე კი... თუმცა ამ სეზონში 56 მატჩი ვითამაშე. დავიტანჯე, აღარ შემიძლია, მუხლი, მუხლი, ყოველი თამაშის წინ და შემდეგ მუხლი... ნერვები აღარ მაქვს, 1998 წლის შემდეგ მტკივა.

*შოთამ მუხლზე დაიხედა, ხელის მტევანი გაშალა და ამოიხედა...*

— ქართველ ქომაგს რას ეტყვი?

— მადლობის მეტი სათქმელი რა მაქვს. გმადლობთ, მიყვარხართ, ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს პატივისცემას და ისიც კარგად მესმოდა, რომ ჩემგან ბევრს მოითხოვდით. ასეც უნდა იყოს. თქვენ ალბათ ვერ წარმოგედგინათ, ჩემს გულში რა ტრიალებდა ყოველი წაგებული სანაკრებო მატჩის შემდეგ. მიყვარხართ, გმადლობთ!

*ჩვენ კი ნუ დაგვავიწყდება, შოთა არველაძეს ბოლო სანაკრებო და მის კარიერაში ალბათ უმთავრესი მატჩი წინ აქვს — საქართველოში, საქართველოს ნაკრების მაისურით ის აქ აუცილებლად ითამაშებს. ახლა უკვე კლაუს ტოპმიოლერზეა, მას რომელი საშინაო მატჩისთვის გამოიძახებს... შოთა არველაძის თხოვნითვე, საქართველოს 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს „სარბიელი" მას ბოლო სანაკრებო მატჩისას ჩააბარებს.*

*გმადლობთ, შოთა!*

**კობა ინასარიძე**





# ადამიანი, რომელსაც ფეხბურთი

ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ფეხბურთელები, რომლებიც არც შესაშური ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან და არც ექსტრავაგანტული გარეგნობით, მაგრამ გულშემატკივრების თვალში მთავარი ფიგურები არიან. მათი თამაში გარჩევის საგანია და ისინი ან ძალიან უყვართ, ან ძალიან არ უყვართ.

სხვა ფეხბურთელის გაცუდებული პასი, დარტყმა ან მოძრაობა შეიძლება ვერ დაინახონ, აი, მათ ერთ მცდარ გადაწყვეტილებას კი დაინახავენ და... საქართველოს ჩემპიონატში ვინ არის ასეთი და, პირველ რიგში, თბილისის „დინამოს“ ცენტრფორვარდი სანდრო იაშვილი. ჟინი და თავდადება — ეს თვისებები 22 წლის ბიჭს სისხლში აქვს გამჯდარი.

„სარბიელის“ ყოველწლიურ, ტრადიციულ გამოკითხვაში ჟურნალისტთა სარეკორდო რაოდენობამ (64) მიიღო მონაწილეობა და აქედან 50-მა სანდრო იაშვილი მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებში პირველ ნომრად ჩაწერა... „იაშკამ“ 274 ქულა დააგროვა, მეორეადგილოსანმა ოლიმპელმა გიორგი სეთურიძემ და მესამეადგილოსანმა ამერელმა გიორგი დოლიძემ, შესაბამისად, 39-ს და 38-ს უწიეს. მგონი, კომენტარიც ზედმეტია... ამასთან, სანდრომ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაშიც მიიღო ორი ხმა...

## სანდრო იაშვილი: მე არავის ვაწყენინებ და ნურც მე მაწყენინებენ!



**სანდრო იაშვილი**

01.03.85

| | | | |
|---|---|---|---|
| 2001-02 | ვიტ ჯორჯია | 6 | 0 |
| 2002-03 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 |
| 2003-04 | დინამო | 23 | 7 |
| 2004-05 | თბილისი | 24 | 9 |
| 2005-06 | დინამო | 16 | 7 |
| 2006-07 | დინამო | 25 | 20 |

*საქართველოს ეროვნულ ნაკრებში: 3 მატჩი, 0 გოლი*

*შენიშვნა: 2006-2007 წლების სეზონში იაშვილის გოლების გრაფაში აქამდე 21 გვეწერა, თუმც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შესულ „დინამო“ — „ჩიხურას“ მატჩის ოქმში იაშვილის ნაცვლად „ჩიხურას“ ფეხბურთელის ავტოგოლია დაფიქსირებული. ანუ, გამოდის, სანდრომ ამ სეზონში 20 გოლი გაიტანა.*

— ვერც წარმოიდგენთ, როგორი გახარებული ვარ! დიდ მადლობას ვუხდი ყველა ჩემ დამფასებელს! ამაზე კარგი რა უნდა იყოს, როცა ჟურნალისტები, კომპეტენტური ადამიანები გაფასებენ და საუკეთესოდ გასახელებენ. ეს ჩემი პირველი სარიოზული პრიზია — ამაყი და პრიზჩახუტებული გველაპარაკებოდა სანდრო იაშვილი, რომლის სახელი ქართულმა საფეხბურთო სამყარომ უკვე ექვსი წელია, იცის... ის სულ პატარა ბიჭი იყო, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ გაიბრწყინა და მას შემდეგ ბობოქრობს...

### გამართლება და რწმენა, ანუ იაშკა ბავშვობიდან

— ფეხბურთზე 11 წლისა შევედი მშობლიურ თელავში. ახლა რომ ვიხსენებ, ბავშვობიდანვე მიზანდასახული ვიყავი. მინდორზე ვერ ვგრძნობ ჩემს ჟინიანობას, ეს სხვებისგან უფრო მესმის. ალბათ, მაშინაც ასეთი ვიყავი... გამიმართლა, რომ ბავშვთა გუნდში თავიდანვე ჩავჯექი, მერე კი იყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, მოგვიანებით კი თბილისის „დინამო“ — ჩემი აზრით, იმ დროს, 2003 წელს, ბოლო პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო „დინამო“ იყო.

საქართველოს საუკეთესო კლუბში მოხვედრამ საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო შემმატა. რწმენის გარეშე კი ფეხბურთელი ფეხბურთელი არ არის, ეს თვისება აუცილებლად უნდა გქონდეს...

— ფეხბურთის გარდა, სხვა ნებისმიერ თამაშშიც ასეთი ჟინიანი ხარ?

— რა საქმეც მიყვარს, იმ საქმეში დამარცხება ჩემთვის წარმოუდგენელია. წაგებისას თავს დაჩაგრულად ვთვლი, რაც საშინლად მეჯავრება.

— ფეხბურთელია შენი უმცროსი ძმაც — გიგა თელავის „კახეთის“ მეკარეა...

— იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი ძმაა — გიგა მართლა კარგი მონაცემების მეკარეა. წლეულს ბევრი ბურთი კი გაუშვა, მაგრამ ხომ ვიცი, რომ მისი ბრალი არ არის. „კახეთს“ ძალიან სუსტი გუნდი ჰყავს, იქ მეკარისთვის თამაში ერთიორად ძნელია. ძალიან მინდა, რომ გიგას გაუმართლოს და კარგ გუნდში მოხვდეს. ამას იმსახურებს.

— შენი უმცროსი ძმა მეკარე, შენ კი თავდამსხმელი. ეს როგორღა მოხდა?

— გიგა ერთი წლით უმცროსია ჩემზე. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ პირველივე ვარჯიშზე ის კარში ჩადგა, მე კი წინ ვითამაშე და დავრჩით ასე.

— ვინაა შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?

— მამაჩემზე დიდი გულშემატკივარი არც მყოლია და არც მეყოლება.

### სანდრო, შენ მეტი უნდა გააკეთო!

— 2002 წლის 17-წლამდელთა ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველო მეხუთე ადგილზე გავიდა, შენ კი 4 მატჩში 4 გოლი გაიტანე...

— მაშინ უსაზღვროდ ამაყი ვიყავი. არადა, იმ ჩემპიონატზე კრიშტიანუ რონალდუ, ლუკაშ პოდოლსკი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობდა, დღეს ვარსკვლავები რომ არიან. 2002 ერთ-ერთი საუკეთესო წელი იყო ჩემს კარიერაში.

— შემდეგ კი იყო პერიოდი, როცა „დინამოდან“ „თბილისში“ გაგანათხოვრეს. „თბილისი“ იმ დროს უკვე ვეღარ მძლავრობდა და იმ წლებს დაკარგულად ხომ არ თვლი?

— საერთოდ, შენს ცხოვრებაში რაც ხდება, არ უნდა ინანო. „თბილისიდან“ ორმაგად მოტივირებუ-



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს, სანდრო იაშვილს პრიზი „სარბიელის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა კახა შალამბერიძემ გადასცა



სანდრო იაშვილი 17-წლამდელთა ნაკრებში

# უხარია და უსამართლობა სტკივა





ლი დავბრუნდი „დინამოში“, უფრო მეტად ვიგრძენი, რას ნიშნავს ტიტულოვანი კლუბის ფეხბურთელობა. ალბათ, ის პერიოდი საჭიროც იყო ჩემთვის.

— და „დინამოში“ მალევე ლიდერად იქეცი...

— ამაზე საერთოდ არ მინდა, ვიფიქრო. სანდრო იაშვილზე მითის შექმნა არ შეიძლება. ცენტრფორვარდი ვარ და თუ კარგად ვთამაშობ და გოლები გამაქვს, ეს ჩემი თანაგუნდელების უდიდესი დამსახურებაცაა. იცით, რა მიხარია? ის, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. ყოველთვის ვეუბნები ჩემს თავს — სანდრო, შენ მეტი უნდა გააკეთო!

## ჩემპიონობას დინამო იმსახურებდა

— წლეულს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდი და ახლა უკვე ფეხბურთელიც, მაგრამ „დინამო“ ჩემპიონობას ვერ შესწვდა...

— ძალიან დამწყდა გული, რადგან მართლა ღირსნი ვიყავით ჩემპიონობის. როცა „დინამოს“ ბირთვი შეიკრა, ყველაზე ძლიერები გავხდით, მეორე წრეში თამაში არ წაგვიგია და მხოლოდ ორი ფრე ვითამაშეთ.

— შენი აზრით, დუშან უპრინი სეზონის წინ რომ მოსულიყო „დინამოში“ მწვრთნელად, რამე შეიცვლებოდა?

— მაშინ მეტი შანსი გვექნებოდა. ჩემპიონატის დასაწყისში ფიზიკურად გვიჭირდა, თან ბევრი ახალგაზრდა ვიყავით გუნდში და...

— უპრინს როგორ დაახასიათებდი?

— ის დიდი მწვრთნელია.

— როგორც ვიცით, ბევრი უცხოური კლუბი გეპატიჟება და „დინამოდან“ წასვლა გადაწყვეტილი გაქვს?

— დიახ. ერთი ვიცი: წავალ იქ, სადაც დამაფასებენ. დასავლეთ ევროპისკენ მიმიწევს გული, რუსეთ-უკრაინაში არ მინდა. კონკრეტულად კი, ჯერ მეც არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას.

## ვიღაცებს ხელს აძლევთ ჩემი „უხასიათობა“

— შენი მთავარი კოზირი თავით თამაშია, არადა, ძალიან მაღალიც არ გეთქმის. ეს თანდაყოლილი ნიჭია თუ საგანგებო ვარჯიშების შედეგი?

— თანდაყოლილი ნიჭი. როდესაც ბურთი მოფრინავს, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ბრძოლას შენ მოიგებ. ივან სამორანო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოთავურე იყო, არადა, არც მას ჰქონდა დიდი სიმაღლე. ასევე იყო მარსელო სალასიც.

— ბევრი იმასაც ამბობს, სანდრო იაშვილმა მხოლოდ თავით თამაში იცისო...

— ყველას თავისი აზრი აქვს. ვიღაცებს ხელს აძლევთ იმის გახმაურება, რომ „იაშკამ“ თავით თამაშის მეტი არაფერი იცის; „იაშკა“ უხასიათოა; „იაშკა“ უზრდელია და პატივს არავის სცემს. ამას რომ სერიოზულად მოვუსმინო, გავგიჟდები...



— და რატომ არის ასეთი მოსაზრებები?

— მინდა ვთქვა, რომ საერთოდ არ შევცვლივარ — ცხოვრებაში ჩემი გეზი მაქვს არჩეული. ერთთან სხვანაირი იყო და მეორესთან სხვანაირი, ეს ჩემში არ ზის. შეიძლება, კამათი მოგივიდეს მინდორზე, შენი აზრი გქონდეს და გამოთქვა, მაგრამ ეს უხასიათობა არ არის. მე თამაშისას ვერ დავდგები და ვერ ვუყურებ, ჩემი გუნდი როგორ აგებს — ფეხბურთი ჯახია, ფეხბურთი ემოციაა, ამის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ. აი, როგორია უეინ რუნი! რასაც მაგას ინგლისურ პრესაში ლანძღავენ, უხასიათოაო, ყურადღებას რომ აქცევდეს, ასე კი ვერ ითამაშებდა. მეც ასე ვარ, ვიღაც-ვიღაცების აგორებულ აზრს ვერ მოვუსმენ.

## ნუ მაწყენინებენ!

— სანდრო იაშვილი ვერა და ვერ ეღირსა კლაუს ტოპმიოლერისგან ნაკრებში გამოძახებას. ალბათ, ეს ძალიან გტკენს გულს...

— ტოპმიოლერი არ მიცნობს. უფრო სწორად, არ უნდა, რომ მიცნობდეს. ალბათ, არ მოსწონს ჩემი სათამაშო სტილი, მის გემოვნებაში არ ვჯდები, მაგრამ ტოპმიოლერმაც და ყველამ იცოდეს: მე არ დავნებდები, ჩემს ფეხბურთს მაინც ვითამაშებ! შეიძლება ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობენ, მაგრამ ხმამაღლა იცით, რატომ ვერ იტყვიან ჩემზე ცუდს? იმიტომ, რომ ჯიგრით ვთამაშობ, მე საქართველოს ნაკრებში თავს დავდებ და იციან, რომ „ბარსელონასთანაც“ ისეთივე შემართებით და უშიშრად გავალ მინდორზე, როგორც ეროვნული ჩემპიონატის ნებისმიერ მატჩში. არ მოვწონვარ ვინმეს? კეთილი, მაგრამ მე არავის ვაწყენინებ და ნურც მე მაწყენინებს ნურავინ!



**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




ბესიკ ლიპარტელიანს გორდონ ჰერბერტის უკლუბოდ დარჩენა გაუხარდა

# არაპვითარი კლუბი

## ჰერბერტი ბოლომდე გაქართველდა

**ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, „პო ორტეზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი დაითხოვაო. როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, ჩვენი ნაკრების თავკაცმა და პოელებმა პირობებზე ვერ მოილაპარაკეს, თუმც ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა — ჰერბერტი კლუბისგან თავისუფალია და ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს. თანაც ჰერბერტმა უკვე გადაწყვიტა, რომ მომავალ სეზონს მთლიანად სანაკრებო საქმიანობას დაუთმობს. ამ და სხვა სანაკრებო ამბებზე ბესიკ ლიპარტელიანი გვესაუბრება**

— ჰერბერტი რომ „პო ორტეზს" დატოვებდა, ამ ამბის ოფიციალურად გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ვიცოდით. ჯერ კიდევ სეზონის ბოლოს გვითხრა ჰერბერტმა, რომ შეიძლებოდა, კლუბი დაეტოვებინა, 3-4 დღის წინ კი გადაწყვიტა კიდეც ამის გაკეთება.

**— ჰერბერტს მოქმედი კონტრაქტი ჰქონდა და თავად თქვა უარი, თუ გაათავისუფლეს?**

— პრესაში ეწერა, რომ დაითხოვეს, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. უბრალოდ, ჰერბერტი არ დააკმაყოფილა პოელთა პირობებმა და გადაწყვიტა, გუნდი დაეტოვებინა.

**— ხომ არ იცით, რომელიც გუნდში გააგრძელებს მუშაობას?**

— ჰერბერტს ბევრი შემოთავაზება აქვს, თანაც საკმაოდ სოლიდური გუნდებისგან. თუნდაც იტალიური „ბენეტონი" რად ღირს, თუმც გორდონმა უკვე გადაწყვიტა, საკლუბო საქმიანობა აღარ გააგრძელოს და მთლიანად ჩვენს ნაკრებში დაკავდეს.

**— თქვენს შეხვდით მას?**

— არა, მაგრამ ჰერბერტმა დაგვირეკა და თავისი გადაწყვეტილება გვაცნო. ის ერთ სეზონს დაისვენებს, არც ერთ კლუბში არ იმუშავებს. ეს ჩვენთვის ძალიან კარგი ამბავია. ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ჰერბერტი მხოლოდ საქართველოს ნაკრებში იქნება დაკავებული და მთელ გამოცდილებას ქართველებს დაახარჯავს. შარშან ასე არ იყო. გორდონს რამდენიმე დღით მოუხდა ჩვენი ნაკრების დატოვება და პოში ჩასვლა. ახლა კი ის შეკრების პირველივე დღიდან ჩვენს ეროვნულ გუნდთან იქნება.

**— როდის ჩამოვა საქართველოში?**

— 2 ივლისისთვის აქ იქნება და შეკრებაც დაიწყება. ის საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებს დააკვირდება, საჭირო კანდიდატებს შეარჩევს და 4-5 დღეში სამშობლოში გაემგზავრება. მერე უკვე 18-ში ჩამოვა, როცა ჩვენი ნაკრები ლეგიონერებიანად სრულად შეიკრიბება.

**— და ამ დღიდან საკვალიფიკაციო მატჩების ბოლომდე სულ ნაკრებთან იქნება?**

— რა თქმა უნდა, ნაკრებს ბულგარეთშიც გაჰყვება, პოშიც და პორტუგალიაშიც. ერთი სიტყვით, ჰერბერტის კლუბიდან წამოსვლამ ძალიან გაგვახარა.

**— ბულგარული და პორტუგალიური ტურნირების გარდა სხვა ამხანაგურ მატჩებსაც გეგმავდით...**

— გადაწყვეტილია, რომ 9-10 ან 10-11 აგვისტოს ინგლისის ეროვნულ ნაკრებს პოში ორჯერ გავეჯიბრებით. საქართველოს ნაკრები ოფიციალურ შეხვედრამდე მინიმუმ 8 სპარინგ-მატჩს გამართავს.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა შემადგენლობის დროულად თავმოყრაა მთავარი...**

— ნაკრების ყველა ლეგიონერთან მქონდა საუბარი და პრობლემა არავისგან არ გვაქვს. ვიქტორ სანიკიძე და ნიკა ცქიტიშვილი „სან ანტონიოს" კემპზე მიდიან ივლისში, მაგრამ 16-ისთვის თბილისში იქნებიან და შეკრებას პირველივე დღიდან შეუერთდებიან. როგორც ამ გადასახედიდან ჩანს, შემადგენლობის დროულად შეკრების პრობლემა არ უნდა შეგვექმნას.

**— ფინეთთან გადამწყვეტი მატჩი გველის, რომელიც 1-ის ნაცვლად 2 სექტემბერს გაიმართება. რატომ შეიცვალა თარიღი?**

— ეს ჩვენი ინიციატივით მოხდა. ყველა მატჩი 4 დღის ინტერვალით გვაქვს — 21 აგვისტოს რომ ვეწყებით, მერეს 25-ში, მომდევნოს კი 29-ში ვთამაშობ. გარდა ამისა, ფინეთამდე ისლანდიაში გვაქვს გასვლა, უკანა გზაზე 9 საათი უნდა ვიმგზავროთ და 3 დღეში ძალების აღდგენა ძალიან ძნელი იქნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არ გვითქვამს ფინელებისთვის. სხვა საორგანიზაციო პრობლემები მოვიმიზეზეთ და მატჩის ერთი დღით გადატანაზე დავითანხმეთ.

**ირაკლი პერტაია**

ჩოგბურთი

# ავსტრიულის ქართული წერტილები

**ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე 14 და 16 წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მასპინძლების გამარჯვებებით დასრულდა. ავსტრიის ავიახაზების მიერ ორგანიზებულ მეცხრე პირველობაში ცხრა ქვეყნის ასამდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, რაც მესამე კატეგორიის შეჯიბრისთვის მშვენიერი შედეგია. ამიტომაც ვარაუდობენ ორგანიზატორები, რომ მომავალ წელს ევროპის ასოციაცია ერთი საფეხურით დაგვაწინაურებს და პატარა ჩოგბურთელებსაც მეტი სარეიტინგო ქულების დაგროვება შეეძლებათ.

ოთხი ფინალიდან სამი ქართული იყო, ერთიც ქართულ-პოლონური. 14 წლამდე გოგონებში პირველ ნომრად განთესილმა სალომე კვიტაშვილმა ბარბარე ერისთავს 6:0 6:2 მოუგო. ბიჭებში ტურნირის მესამე ნომერმა დავით ხუციშვილმა პირველ ნომერს, გიორგი ცივაძეს სამ სეტში აჯობა — 1:6 6:3 7:6. ყველაზე დაძაბული 16-წლამდე გოგონების ფინალი გამოდგა. ნინო მებუკემ (3) დიანა დავითაიას (1) 7:5 6:7 6:4 სძლია. სამ სეტში დასრულდა ბესიკ ამაშუკელისა (4) და პიოტრ გრინკოვსკის ჩოგნაობაც — 6:2 3:6 6:4.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მხოლოდ ერთი გეიმი

**დღეიდან** ინგლისში, ისტბორნის ბალახის კორტებზე ქალთა 600-ათასიანი ტურნირი გახურდება, რომელიც სეზონის მესამე სლემტურნირის, უიმბლდონის გენერალურ რეპეტიციად ითვლება.

ისტბორნში უაღრესად მძლავრი შემადგენლობაა შეკრებილი მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ბელგიელი ჟუსტინ ენინის თამადობით. ელიტარულ ჩოგბურთელთა მარაქაში გარევის შანსი საქართველოს პირველ ჩოგანს მაკა ჩახნაშვილსაც ჰქონდა, ვინც კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას, მაგრამ ბოლო ხანებში წარუმატებლად მოთამაშე მაკამ ვერც მისთვის უცხო ბალახზე ივარგა — საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში უიმედოდ — 0:6 1:6 დამარცხდა რეიტინგის 57-ე ნომერთან, ამერიკელ ჯილ კრეიბასთან.

მძლეოსნობა

# მესერეტ დეფარმა ოქროს ხალხი თვალს მოაფარა

**პარასკევს** ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დიდი ხმაურით და აჟიოტაჟით გაიხსნა „ოქროს ლიგა". ამ ექვსეტაპა სერიას ვარსკვლავები ნამდვილად არ მოაკლდება, განსაკუთრებით ქალთა და ვაჟთა იმ გამორჩეულ 10 სახეობაში, რომელშიც მილიონის ღირებულების ოქროს ზოდები თამაშდება — კიდევ ერთხელ შევახსენებთ, მილიონის ოქროს გაიყოფენ ის რჩეულები, რომლებიც წინასწარ დათქმულ 10 სახეობიდან ერთ-ერთში ექვსივე ეტაპზე გაიმარჯვებენ.

მაგრამ ოსლოში ყველაზე ხმაურიანი ამბავი არა რომელიმე საოქროვე დისციპლინაში, არამედ განზე დარჩენილ 5 კილომეტრზე მორბენალ ქალებში დატრიალდა. ეთიოპიელმა სტაიერმა ქალმა მესერეტ დეფარმა 5 კილომეტრი სარეკორდო დროში დაფარა — ძველ რეკორდს, რომელიც 14 წუთსა და 23,53 წამს შეადგენდა — ერთბაშად 6,90 წამი მოაკლო.

დეფარმა თავიდანვე სწრაფი ტემპი აიღო და მისი გაყოლა მხოლოდ რუსმა ოლგა კომიაგინამ და კენიელმა ვივიან ჩერიოტმა შეძლეს. დეფარი ამათ ხან წინ გაუშვებდა და მათ ზურგს უკან სუნთქვას იწმენდდა, ხანაც წინ გაიჭრებოდა და თანმხლებ-დამხმარეებს ფეხის აჩქარებისკენ უბიძგებდა. კენიელმა და რუსმა მის სიჩქარეს დაახლოებით 3 კილომეტრი გაუძლეს, მერე კი თანდათან ჩამორჩნენ. დეფარი კი უსწრაფესად გაფრინდა და გამარჯვებას რეკორდიც მოაყოლა. მერე ამბობდა — ვიცოდი, რეკორდი რომ ხელთ მქონდა, მაგრამ მეგონა, ასე 14:20-ის ფარგლებში გავრბოდი და 14:16-მა სასიამოვნოდ გამაოცაო.

ის გარბენი კი საზოგადოდაც ჩქარი გამოვიდა, მეორე ადგილზე გასული ჩერიოტიც ძველ მსოფლიო რეკორდზე ნაკლებ დროში ჩაეტია — 14:22,51 შედეგით მას მსოფლიოს თუ არა, კენიის რეკორდი ხომ მაინც შერჩა.

ოქროს დისციპლინებში კი თავშივე სახსენებელია უსწრაფესი 100-მეტროსანი კაცის ასაფა პაუელის მორიგი გამარჯვება. იამაიკელმა ჰეპარდმა 100 მეტრი კვლავ 10 წამზე ნაკლებში, კერძოდ, 9,94 წამში დაფარა და უახლოეს მდევარს, პორტუგალიელ ფრანსის ობიკველუს 0,12 წამი მოუგო.

თანამემამულეს მხარი ვერ აუბა ქალმა ჰეპარდმა შერილ სიმპსონმა, რომელიც საერთოდ ბოლო მივიდა ფინიშთან. გამარჯვება კი შედარებით ნაკლებად ცნობილ ამერიკელ სტეფანი დარტს (11,22) ხვდა წილად, რომელიც ფაქტობრივად ახლა აცნობს თავს მსოფლიოს. ამერკელებს გამარჯვება კიდევ სამმა მძლეოსანმა მოუტანა — 2006 წლის საუკეთესო მძლეოსანმა ქალმა სანია რიჩარდსმა დამაჯერებლად მოიგო თავისი 400 მეტრი (50,26 წამი), თარჯმორბენალმა მიშელ პერიმ 100 თარჯებიანი მეტრი 12,70 წამში გაირბინა, ხოლო კაცთა 110 მეტრ თარჯრბენში ჩინელი ლიუ სიანისა და კუბელი დეიმონ რობლესის არყოფნაში გამარჯვება 13,26 შედეგით ანვარ მურს შეხვდა.

ოსლოში მწვერვალები რუსმა გოგონებმა დაიპყრეს — სიმაღლეზე ხტომაში ელენა სლუსარენკომ 2,02 მეტრიანი თამასა დაძლია, ჭოკის დედოფალმა ელენა ისინბაევამ კი — 4,85 მეტრი.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი კრისტიან ოლსონის მარცხი იყო. შვედმა სამხტომელმა 17,33 მეტრზე ისკუპა და სულ რაღაც 2 სანტიმეტრი წააგო ბრიტანელ ფილიპს იდოუსთან.

**კოტე ყორშია**



### ოქროს ლიგის სახეობები

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 100 მ | ასაფა პაუელი (იამაიკა) | 9,94 |
| 1500 მ | ადილ კაუჩი (მაროკო) | 3.54,14 |
| 110 მ თარჯრბენი | ანვარ მური (აშშ) | 13,26 |
| სამხტომი | ფილიპს იდოუ (ბრიტანეთი) | 17,35 |
| შუბის ტყორცნა | ტერო პიტკამიაკი (ფინეთი) | 88,78 |
| **ქალები** | | |
| 100 მ | სტეფანი დასტი (აშშ) | 11,22 |
| 400 მ | სანია რიჩარდსი (აშშ) | 50,26 |
| 100 მ თარჯრბენი | მიშელ პერი (აშშ) | 12,70 |
| სიმაღლეზე ხტომა | ელენა სლუსარენკო (რუსეთი) | 2,02 |
| ჭოკით ხტომა | ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 4,85 |

## IRB-ს ერთა თასი. 16 ივნისი. ბუქარესტი

## საქართველო 22:20 იტალია A



# მესამედმა საქართველომ იტალია გააძურა

## ლელოებმა მსაჯიც დაალელოვეს

**საქართველო:** ბარკალაია (გურგენიძე), შკინინი, ურჯუკაშვილი, დ. კაჭარავა, ელოშვილი (გიგაური), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (კაპ); მაგრაქველიძე (დადუნაშვილი), ჭყონია (ნატრიაშვილი), ხინჩაგაშვილი (გ. ჭღენტი), მჭედლიშვილი, დიდებულიძე (დათუნაშვილი), ურუშაძე (ი. მაისურაძე), ზ. მაისურაძე, ჩხაიძე
**ვლ:** ჩხაიძე, ურჯუკაშვილი, შკინინი; **2შ:** კვირიკაშვილი; **ჯ:** კვირიკაშვილი
**იტალია A:** მარკატო, სეპე, სგარბი, ბარბინი, ლ. ნიტოლია (მ. ნიტოლია), ორკერა, პატელი (ლეონარდი); მილანი (ბოჩალონი), ფერარო (ჯირალდინი), ტიტადინი (დემარკი), პავანელო, ველა (პარიზე), დერბიშირი (ბირშალი), ერასმუსი, დალმასო (კაპ)
**ლ:** სეპე; **5ს:** ორკერა

**რაგბის** მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეორედ გასულმა საქართველოს ნაკრებმა მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი მოგებით დაასრულა. შაბათს ჩვენმა „ლელოებმა" რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) სადებიუტო ერთა თასზე, ბუქარესტის „ტრიუმფალური თაღის" სტადიონზე იტალიის მეორე ნაკრებს სძლიეს და ექსგუნდა ტურნირზე მესამე ადგილი შეინარჩუნეს.

იტალიელთა თუნდაც მეორე გუნდის დამარცხება ჩვენებისთვის პრინციპის ამბავი იყო. საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე მეორე შემადგენლობით ჩავიდა. „ლელოებს" არ ჰყავდათ ძირითადი ხერხემალი: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქაშვილი, მამუკა გიორგაძე, ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი გიორგაძე და ირაკლი მაჩხანელი. ამასთან ტურნირის მსვლელობისას ქართველებს შემორჩენილი ძირითადი რაზმელებიც დაემტვრათ და იტალიის „ა" ნაკრებს ლამის მესამე შემადგენლობით ერაგბნენ.

იქამდე ჩვენებს მთავარი ამოცანა გადაჭრილი ჰქონდათ. „ლელოებმა" შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართ მსოფლიოს თასის ჯგუფში მთავარ მეტოქე ნამიბიას მეორე შემადგენლობითაც 26:18 მოუგეს და მესამე გუნდით ბოლომდე ეომნენ სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა კრებულს, რომელსაც სამშობლოში „მომავლის ქურციკებს" ეძახიან.

იტალიის „ა" ნაკრებს კი ტურნირზე ორივე მატჩი წაეგო. მეორე „აძურა" სამხრეთ აფრიკასთანაც დამარცხდა და მასპინძელ რუმინეთთანაც. ჰოდა, 2000 წელს აქეთ მსოფლიო რაგბის მამების ნალოლიავებ იტალიელებს ზურგს „ზემოდანაც" უმაგრებდნენ. თან ტურნირის ორგანიზატორებს არც ჩვენების მოგება აწყობდათ, რათა სათადარიგოების სათადარიგოებით მორაგბე ქართველებს მასპინძელი რუმინეთისთვის არ გადაესწროთ.

აქამდე ტესტების დონეზე საქართველოსა და იტალიის ნალდი ნაკრებები სამჯერ დატაკებიან. სამივე მატჩი სტუმრად იყო, რაკი „აძურამ" ვერაფრით გარისკა საქართველოში ჩამოსვლა. რა გასაკვირია, რომ შინ პატრონის IRB-ის დანიშნული მსაჯებით სამჯერვე მოიგეს. მეტიც, მსაჯებმა იმდენი ითავხედეს, ერთხელ უპოპულარესმა სარაგბო ვებ-გვერდმა „პლანეტ რაგბიმ" დაწერა, ეს რომ რომელიმე გრანდთან გაებედათ, სამუდამო დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩებოდნენო.

ახლაც ასე იყო. „ზემოდან" კარგად დამოძღვრილმა ინგლისელმა რეფერიმ რობ დიბნიმ მატჩის დაწყებისთანავე ხელი იტალიელებისკენ რომ გაიშვირა, მატჩის ბოლომდე არ ჩამოუწევია.

„ვიცოდით, რომ მსაჯი იტალიას მიემხრობოდა, მაგრამ ასეთ უმსგავსობას ნაღდად არ ველოდით. როგორც კი მეტოქის ლელოს მივუახლოვდებოდით, არარსებულ ჯარიმას გამოიგონებდა და შეტევას გვიჩერებდა. არ მინდა, მსაჯს დავაბრალო, მაგრამ მეოთხე და მეხუთე ლელოსაც გავიტანდით, ამის საშუალება არ მოგვცა და პრემიალური ქულა ვერ ავიღეთ. თუმც იმას ვინ დარდობს, მატჩის ბოლოს გიორგი ჩხაიძემ უბრალოდ უთხრა, ჯარიმა არ იყოო. ამისთვის მოედნიდან გააგდო, გადაცილებულ დროს კი სამ-ოთხი წუთი დაამატა და იტალიელებს ლელო დაადებინა. კიდევ კარგი, ვერ გარდასახეს, თორემ მატჩი ფრედ დასრულდებოდა" — გვითხრა ირაკლი აბუსერიძემ ნამატჩევს რომ დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, ქართველებმა იტალიის მეორე ნაკრებს, რომელშიც იქაური ჩემპიონატის სუპერ 10-ის გამორჩეული მოთამაშეები რაგბობენ, თავიანთი მსაჯითაც მოუგეს. ამასთან მეორე „აძურას" სამი ნატურალიზებული რაზმელი ჰყავდა: ტომით ახალზელანდიელები — პოლ დერბიშირი, ალდო ბირშალი და სამხრეთაფრიკელი იაკო ერასმუსი.

საქართველოს მატჩის შემდეგ, რუმინელებმა ჩვენებისგან მინგრეულ ნამიბიას პრემიალური ქულის გარეშე მოუგეს და „ლელოებს" ვერ გადაასწრეს. ტურნირი კი დაუმარცხებლად მოიგო სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრებმა, რომლმაც ფინალის ტოლ მატჩში არგენტინის „ა" ნაკრებს სარაგბო გაკვეთილი ჩაუტარა.

**ბაჩო სვანიძე**

**რუმინეთი 28:16 ნამიბია**
**ს. აფრიკა U23 24:10 არგენტინა A**

**საბოლოო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა U23 | 3 | 0 | 0 | +85 | 13 |
| არგენტინა A | 2 | 0 | 1 | +27 | 9 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | -7 | 8 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | -31 | 8 |
| იტალია A | 0 | 0 | 3 | -20 | 2 |
| ნამიბია | 0 | 0 | 3 | -54 | 0 |

ოთხი ან მეტი ლელოს გამტანს და შვიდი ან ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ენიჭება პრემიალური ქულა

## სამი ერი 2007. პირველი ტური

16 ივნისი. კეიპტაუნი

**სამხრეთ აფრიკა 22:19 ავსტრალია**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, ვილემსე, ფური, დე ვილერსი, პიტერსენი; ჯეიმსი, პინარი; სპისი, ი. სმიტი, ბურგერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ბჯ. ბოთა, ჯ. სმიტი (კაპ), სტეენკამპი
*სათადარიგოები:* გ. ბოთა, ფან დერ ლინდე, მულერი, როსოუ, კლაასენსი, ოლივიე, შტეინი
*ლ:* ფური; *1შ:* მონტგომერი; *3ს:* მონტგომერი; *2პ:* შტეინი
**ავსტრალია:** პუქალი, მიტჩელი, მორტლოკი (კაპ), ტიტუ, ტუკირი; ლარქემი, გრეგანი; პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დანინგი
*სათადარიგოები:* ფრეიერი, ბაქსტერი, ჩიშოლმი, ჰოილისი, ვუ, ეშლი-კუპერი, ჯერარდი
*ლ:* ტიტუ, *1 შ:* მორტლოკი, *4 ს:* მორტლოკი

# დარტყმა, კიდევ დარტყმა

## სამხრეთ აფრიკამ ავსტრალია არეკნა

სამი ერის სადებიუტო და უდაძაბულეს შეხვედრაში ბებერ ავსტრალიას მასპინძელ და ფავორიტ სამხრეთ აფრიკის ძლევამდე შვიდი წუთი დააკლდა. შეცვლაზე შესულმა აფრიკელმა ფრანსუა შტეინმა 16:19-ზე ორი ერთმანეთზე ულამაზესი და ურთულესი არეკნი გაიტანა, რითაც „ქურციკები" დამარცხებას გადაარჩინა.

შტეინის საოცარ დარტყმებამდე კი ავსტრალია მთელი მეორე ტაიმი იგებდა, რაც ყველაფერის ამტანი დაცვისა და თავდასხმაში საოცრად პრაგმატული თამაშის შედეგი იყო. ბოლოსკენ სამხრეთ აფრიკა თავისი მთასავით მორკინალებით ათი წუთი ეძალებოდა „ვოლაბების" ლელოს, მაგრამ ავსტრალიელები თავს თითქმის სიცოცხლის ფასად იცავდნენ. ეს იყო აფრიკული ზამთრის მზიანი დღე. მთა მაგიდის ფონზე და 50 000 მაყურებლის წინაშე გუნდებმა ზერაგბი ითამაშეს. სიტყვით შეუძლებელია იმ ემოციის გადმოცემა, რასაც ეს ტემპიანი თამაში. მატჩის საუკეთესო მოთამაშე აფრიკელი მესამეხაზელი შალკ ბურგერი დასახელდა, რომელიც გარდა იმისა, რომ უკანმოუხედავად უტევდა, ბევრსაც ჩხუბობდა და ამ საქმეშიც გამორჩეული იყო.

არადა, ამ თამაშით სამი ერის პირველობა მხოლოდ დაიწყო, წინაა მთავარი ჯახები. მომავალ შაბათს აფრიკაში ჩადის ამ სამთა შორის ყველაზე ტიტულოვანი და წლეულსაც პროგნოზებში ორივეზე წინ დაყენებული ახალი ზელანდია. რაგბის ჯადოქრებად მონათლული „შავები" შეეცდებიან, ბოლო წლებში გვარიანად მოძლიერებული „ქურციკებს" მათსავე მიწაზე დამარცხებას.

**ზურაბ მიგრიაული**

**IRB-ის ოკეანეთის თასი**
**ახ. ზელანდია U21 50:0 ავსტრალია A**
**ფიჯი 15:21 ტონგა**
**ტესტ-მატჩი**
**ახ. ზელანდია 64:13 კანადა**



სამხრეთ აფრიკამ ავსტრალია „დაამიწა"

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი

# ლუის ჰემილტონი: ფორმულა, რომელიც ამერიკაშიც ვერ ამოხსნეს




**სამეფო** რბოლების ისტორია-ში პირველი შავკანიანი პილოტის ლუის ჰემილტონის სენსაციურმა სვლამ ისე ასწია მისი აქციები, რომ როგორც უნდა დაასრულოს სადებიუტო სეზონი, სწორედ ის იქნება აღმოჩენა კი არა, ნამდვილი გმირი.

გუშინდელი რბოლის წინ 22 წლის ინგლისელი ვუნდერკინდი გენერალურ კლასიფიკაციაში რვა ქულით უსწრებდა ორგზის გვირგვინოსან თანაგუნდელ ფერნანდო ალონსოს და შაბათს, კვალიფიკაციის ზედიზედ მეორედ მოგების შემდეგ უპირატესობის გაზრდის მშვენიერი შანსიც გაუჩნდა.



ლუის ჰემილტონმა და ფერნანდო ალონსომ „მაკლარენს" მორიგი დუბლი მოუტანეს

AFP

არადა, ლუისს ლეგენდარულ „მოტორ სპიდვეიზე" აქამდე არასოდეს უქროლია და პოულ-პოზიციის მოპოვებით საკმაოდ გაკვირვებული იყო: „სიმართლე რომ ითქვას, მართლაც გამიკვირდა ეს წარმატება, რადგან უკვე პარასკევს ძრავამ აურია და შესაცვლელი გახდა. უამისოდაც, ფერნანდო თავისუფალ ვარჯიშში ჩემზე სწრაფი იყო და საერთოდ არ მოველოდი პირველ პოზიციაზე დადგომას, პირიქით კი გამოვიდა. უკეთესს ვერც ვისურვებდი. მთავარია, რომ ჩვენმა გუნდმა „ფერარი" ჩამოიტოვა."

ნანდო ლუისს წამის ორი მეათედით ჩამორჩა, მეორე რიგში კი მაკლარენელების მთავარი მტრები, ფერარელები — ფელიპე მასა და კიმი რაიკონენი მოკალათდნენ. მასა მესამე პოზიციით, ანუ კონკურენტებთან უშუალო სიახლოვით კმაყოფილი ჩანდა, რადგან ერთი კვირის წინ მონრეალში ბრძოლის დაწყება ორი პოზიციით უკან, მესამე რიგიდან მოუხდა.

აღსანიშნავია კიდევ ორი ახალბედას წარმატებული საკვალიფიკაციო გამოსვლა. ფინელ ჰეიკი კოვალაინენისთვის მეექვსე შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა, ხოლო 19 წლის გერმანელმა სებასტიან ფეტელმა ფორმულაში ჭიპმოჭრილი და ლამის მამისხნის მეტოქეები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა პირველივე კვალიფიკაციაში გასაკვირი მეშვიდე ადგილით.

ფეტელი „BMW-ზაუბერის" ტესტპილოტი გახლავთ და კანადაში საშინელი ავარიის შემდეგ დროებით საჭეს ჩამოცილებული რობერტ კუბიცა შეცვალა. პოლონელი მონრეალის კლინიკიდან გამოწერის მერე კი ირწმუნებოდა, ჯანმრთელად ვარ და ინდიანაპოლისში გამოსვლა მინდაო, მაგრამ ექიმებმა ჯერჯერობით გაჯირითების ნებართვა არ მისცეს.

ალონსო მოგებაზე ორმაგად „დაგეშილი" იყო, რათა სატურნირო ცხრილში წამოსწეოდა ბრიტანელთა მიერ ცამდე აყვანილ თანაგუნდელ „ბავშვს" და წარმატება მოეპოვებინა ინდიანაპოლისში, სადაც ოთხჯერ გასვლის მიუხედავად, მეხუთე ადგილს ვერ ასცილებოდა.

ნანდომ მეორე ამოცანა ურიგოდ არ გადაჭრა და პოდიუმის მეორე საფეხურზე შედგა, კვლავ უხინჯოდ მოჯირითე თანაგუნდელს კი ამჯერადაც ვერ მოერია. მან მხოლოდ ორჯერ შეძლო ლუისთან გასასწორებლად შებრძოლება — სტარტზე და შუა დისტანციაზე, მეორე პიტსტოპის წინ, როცა შემსუბუქებული მანქანით კარგა ხანს კუდში მისდევდა, მაგრამ უშედეგოდ. თანაც ჩემპიონი ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა, ბალახში ოდნავ გადაისრიალა და თანდათან ისევ ჩამორჩა.

„მაკლარენმა" მორიგი დუბლით (პირველ-მეორე ადგილი) ზედიზედ მესამე ნოკდაუნი აგემა „ფერარის" და საჩემპიონო ნოკაუტის პერსპექტივაც გამოიკვეთა.

რაიკონენმაც გაუმართა შიდაგუნდური დუელი მასას, მაგრამ ვერც მან მიაღწია მიზანს, თითქმის ფინიშამდე კუდში დევნის მიუხედავად და მეწინავე ოთხეულმა როგორც დაიწყო ბრძოლა, იმავე თანმიმდევრობით დაასრულა.

ფეტელმა, რომელიც სამ ივლისს 20 წლის შესრულდება, გუშინაც იყოჩაღა და სადებიუტო რბოლაში პირველი ქულაც მოიპოვა, რითაც ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მექულე გახდა.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

აშშ-ის დიდი პრიზი
17 ივნისი. ინდიანაპოლისი
დისტანცია 73 წრე — 306,016 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1:31.10,0 (204,4 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ალონსო (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,5 |
| 3. | (3) | მასა (ფერარი) | 12,8 |
| 4. | (4) | რაიკონენი (ფერარი) | 15,4 |
| 5. | (6) | კოვალაინენი (რენო) | 41,4 |
| 6. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1:06,7 |
| 7. | (9) | ვებერი (რედ ბული) | 1:07,3 |
| 8. | (7) | ფეტელი (BMW-ზაუბერი) | 1:07,8 |
| 9. | (10) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 10. | (17) | ვურცი (უილიამსი) | 1 წრით |
| 11. | (16) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 12. | (13) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 13. | (20) | სპიდი (ტორო როსო) | 2 წრით |
| 14. | (21) | სუტილი (სპაიკერი) | 2 წრით |
| 15. | (22) | ალბერსი (სპაიკერი) | 3 წრით |
| 16. | (19) | ლიუცი (ტორო როსო) | 5 წრით |
| 17. | (14) | როსბერგი (უილიამსი) | 5 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (5) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | გაიარა 56 წრე |
| (18) | სატო (სუპერ აგური) | 14 |
| (11) | კულტჰარდი (რედ ბული) | 1 |
| (15) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 |
| (12) | შუმახერი (ტოიოტა) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
ჰემილტონი 1:12,331 (208,6 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
რაიკონენი 1:13,117 (206,4 კმ/სთ)

## Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■ 10 | ■ 10 | | | | | | | | | | | 58 |
| 2 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■ 10 | 2 | 8 | | | | | | | | | | | 48 |
| 3 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■ 4 | ■ 10 | ■ 10 | 6 | – | 6 | | | | | | | | | | | 39 |
| 4 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■ 10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | | | | | | | | | | | 32 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | | | | | | | | | | | 26 |
| 6 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | | | | | | | | | | | 13 |
| 7 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | – | | | | | | | | | | | | 12 |
| 8 კოვალაინენი (რენო, ფინეთი) | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | | | | | | | | | | | 12 |
| 9 ვურცი (უილიამსი, ავსტრია) | – | – | – | – | 2 | 6 | – | | | | | | | | | | | 8 |
| 10 ტრული | – | 2 | 2 | – | – | – | 3 | | | | | | | | | | | 7 |

როსბერგი — 5, კულტჰარდი — 4, სატო — 4, შუმახერი — 2, ვებერი — 2, ფეტელი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

## კონსტრუქტორთა თასი

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | 18 | | | | | | | | | | | 106 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | | | | | | | | | | | 71 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | | | | | | | | | | | 39 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | | | | | | | | | | | 25 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | | | | | | | | | | | 13 |

ტოიოტა — 9, რედ ბული — 6, სუპერ აგური — 4

# პრეზენტაცია ქართული კულმინაციით

## ფილაში ვეფხვი და მოყმეც დაიდგმება



**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორი დღის წინ ცენტრალური ოფისი შეიცვალა. ფილამ ლოზანის შტაბბინიდან პატარა ქალაქ ვივის სპორტული კომპლექსის ახალაშენებულ ნაგებობაში გადაინაცვლა და პრეზენტაციაზე თავისთან განევრიანებული ყველა ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციის დელეგაცია დაპატიჟა. ქართული ფედერაციიდან მიწვეულთა სიაში პრეზიდენტი კახა გეწაძე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ედიშერ მაჩაიძე და თავისუფალი სტილის მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე შეიყვანეს. ეს უკანასკნელი სულაც საზეიმო საღამოს ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო. გოგშელიძეს 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებისთვის სპეციალური პრიზი გადასცეს. შვეიცარიიდან დაბრუნებულმა კახა გეწაძემ ჩვენთან საუბარი სწორედ ამით დაიწყო**

— შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოჭიდავეების დაჯილდოების ცერემონიალი პრეზენტაციის ბოლოსთვის შემოინახეს. გიორგი 2006 წელს თავისუფალ სტილში აღიარეს უძლიერესად. ბერძნულ-რომაულში 84 კილოგრამში მოჭიდავე თურქი ნაზმი ავლუჩა გამოარჩიეს, ხოლო ქალებში ბულგარელი ზლატქა ხრისტოვა. ღონისძიების მთავარი თემა სწორედ ამ სამეულის დასაჩუქრება იყო.

**— ფინანსურადაც წაახალისეს?**

— არა. მხოლოდ ბრინჯაოს ქანდაკებები გადასცეს.

**— წინასწარი ინფორმაცით, ფილას სპორტული ბაზაც უნდა გაეხსნა...**

— მხოლოდ ოფისის პრეზენტაცია შედგა. პატარა ქალაქ ვივში ჭიდაობის გარდა სპორტის სხვა სახეობების ფედერაციების ცენტრალური შტაბბინებიც მრავლადაა განთავსებული. ასე რომ, მშვენიერი სპორტული ატმოსფეროა შექმნილი. ძველი ოფისი ლოზანაში მდებარობდა და სულ რაღაც ოთხ ოთახში იყო გამოკეტილი. ახლა იმხელა ფართია, ქართული ჭიდაობის კუთხეც კი აქვთ მოწყობილი. სწორედ ამ კუთხეში დაიდგმება ჩვენგან ნაჩუქარი ვეფხვისა და მოყმის ქანდაკებაც, რომელიც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ოფიციალური ლოგოცაა.

**— ფილას პრეზიდენტთან ხომ არ გისაუბრიათ?**

— რაფაელ მარტინეტის პირისპირ შევხვდი და საქმიანი საუბარიც გვქონდა.

**— თუ საიდუმლო არაა, კონკრეტულად რა საკითხებზე?**

— რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თემაზე. მათ შორის თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის რანგის ამაღლებაზე და უფრო სერიოზული შეჯიბრების მასპინძლობაზე.

**— კონკრეტული პასუხიც ხომ არ მიგიღიათ?**

— მარტინეტი დახმარებას დაგვპირდა. უფრო დეტალურად კი ამ და სხვა საკითხებზე მისი თბილისური ვიზიტისას ვისაუბრებთ. გვითხრა, ვეცდები, თბილისში ივლისში, ბალავაძე-კარტოზიას სახელობის ტურნირზე ჩამოვიდე, თუ არა და მომავალ წელს აუცილებლად გესტუმრებითო. მალე ჩვენს დედაქალაქს მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის უფლებასაც მისცემენ.

**— მომავალი წლის კალენდარი ხომ უკვე შედგენილია?**

— გამორიცხული არაა, რამე შეიცვალოს. თუმცა თუ ახლა არ მოესწრო, 2009 წლის კალენდარში აუცილებლად ჩაგვსვამენ.

**ოთარ გალლაძელიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 18 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 18 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 18 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 49 | გეფლე-აიკ | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 21:00 | 50 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 21:00 | 51 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 22:00 | 52 | ჰამარბი-იურგორდენი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 18 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 57 | სილვია-ატვიდაბერგი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | ფინეთი 18 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 67 | პონკა-ლაპტი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 5.40 | 2.10 | 2.10 | 1.51 | 1.51 | 1.04 |
| 10049 | გეფლე-აიკ | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.90 | 2.30 | 6.00 | 1.04 | 1.44 | 1.66 |
| 10051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.80 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.69 |
| 10052 | ჰამარბი-იურგორდენი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10057 | სილვია-ატვიდაბერგი | 2.85 | 2.00 | 3.25 | 1.17 | 1.51 | 1.23 |
| 10067 | პონკა-ლაპტი | 2.25 | 2.10 | 4.25 | 1.08 | 1.47 | 1.40 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11049 | გეფლე-აიკ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11052 | ჰამარბი-იურგორდენი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11057 | სილვია-ატვიდაბერგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11067 | პონკა-ლაპტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 2.20 | 1.50 |
| 12049 | გეფლე-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 12050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.90 | 1.70 |
| 12051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.90 | 1.70 |
| 12052 | ჰამარბი-იურგორდენი | 1.70 | 1.90 |
| 12057 | სილვია-ატვიდაბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12067 | პონკა-ლაპტი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13049 | გეფლე-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.90 | 1.70 |
| 13051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.90 | 1.70 |
| 13052 | ჰამარბი-იურგორდენი | 1.70 | 1.90 |
| 13057 | სილვია-ატვიდაბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13067 | პონკა-ლაპტი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 2.40 | 1.45 |
| 14049 | გეფლე-აიკ | 1.90 | 1.90 |
| 14050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.30 | 2.50 |
| 14051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.20 | 2.60 |
| 14052 | ჰამარბი-იურგორდენი | 1.90 | 1.90 |
| 14057 | სილვია-ატვიდაბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14067 | პონკა-ლაპტი | 1.65 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | გეფლე-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ჰელსინგბორგი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ჰამარბი-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | სილვია-ატვიდაბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | პონკა-ლაპტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3.60 | 1.24 |
| 16049 | გეფლე-აიკ | 1.80 | 1.85 |
| 16050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.14 | 4.70 |
| 16051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.11 | 5.70 |
| 16052 | ჰამარბი-იურგორდენი | 1.80 | 1.85 |
| 16057 | სილვია-ატვიდაბერგი | 1.65 | 2.05 |
| 16067 | პონკა-ლაპტი | 1.32 | 3.00 |

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17018 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | გეფლე-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ჰელსინგბორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ჰამარბი-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | სილვია-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | პონკა-ლაპტი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ვარსკვლავი

## 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი პაულ ბრაიტნერი

# ეი, პაულ, პენალტს შენ ურტყამ?



— თქვენ იმ ფეხბურთელთა რიცხვს განეკუთვნებით, რომელთაც გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგეს, გულშემატკივართა თაობებსაც დაამახსოვრეს თავი. როგორ გაიხსენებდით 1974 წელს?

— ჩემი, როგორც პროფესიონალის ცხოვრებაში, გფრ 74-მა დიდი როლი ითამაშა. მან მნიშვნელოვნად განაპირობა ჩემი მომავალი. გარდა იმისა, რომ ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ის გარემოება, რომ ფინალში პენალტი შევაგდე. ორი აზრი არ არსებობს, ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართებოდა. 1978 წელს არგენტინაში ჩატარებულ ჩემპიონატში მე არ მითამაშია, ასე რომ, 1982 წელს, ესპანეთში ერთგვარად კარიერა შევაჯამე. საქმე ისაა, რომ 1974-77 წლებში მადრიდის „რეალში" ვთამაშობდი და ხსენებულ 82-შიც ნაკრებში იმიტომ დამაბრუნეს, რომ პირველობა ესპანეთში ტარდებოდა. და, რაკი სიტყვამ ესპანეთი მოიტანა: ამ ქვეყანაში ჩემს ოჯახთან ერთად სამი საუცხოო წელიწადი გავატარე და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ფინალში გავედი. ეს გამარჯვების გემოს ხელახალ გალეიძებას ჰგავდა.

— მართალია, მსოფლიოს ჩემპიონი 1974 წელს გახდით, მაგრამ მოდით, მანამდე 1982 წელზე ვილაპარაკოთ. გამოგადგათ რვა წლის წინანდელი გამოცდილება? და საერთოდ, რა განიცადეთ, როდესაც ფინალში იტალიელებმა არცთუ თვალსაჩინოდ დაგამარცხეს?

— 1982 წლის ფინალში იტალიელებმა სწორედ რომ თვალსაჩინოდ მოგვიგეს. იმას ოდნავი უპირატესობა არ ერქვა, თუმცა, ვფიქრობ, ამისთვის განწირულები ვიყავით. თუ გახსოვთ, ხუთშაბათ საღამოს ნახევარფინალში საფრანგეთი დავამარცხეთ. ეს მატჩი სევილიაში ჩატარდა და თან ძირითადი დროის შემდეგ, დამატებითი დრო და ბოლოს პენალტების დარტყმა დაგვჭირდა. ამის შემდეგ, იმავ ღამით მადრიდში დავბრუნდით. სასტუმროში გამთენიისას, ექვს საათზე შევედით და წინა საღამოს ვახშამი უკვე პარასკევს, დილის შვიდის ნახევარზე მივირთვით. წარმოიდგინეთ, ნახევარფინალში გადატანილი კოლოსალური დატვირთვის შემდეგ საჭმელი პირში დილის შვიდის ნახევარზეღა ჩავიდეთ, რადგან სევილიის აეროპორტში გაფიცვა და კიდევ რაღაც პრობლემები იყო და ვერაფერი ვჭამეთ...

...გულწრფელად შემიძლია გითხრათ, თუ ფინალში პირველ გოლს ჩვენ არ გავიტანდით, იტალიელებს ვერ მოვუგებდით და ეს ყველამ ვიცოდით. როგორმე ანგარიში უნდა გაგვეხსნა და დაცვაში ჩავკეტილიყავით, თორემ პირველად იტალიელებს რომ შეეგდოთ, ჩამორჩენის გამომსწორებლები ჩვენ აღარ ვიყავით. როგორც მოგახსენეთ, სრულიად გამოფიტულნი ვიყავით, იტალიელებმა კი ოთხშაბათს უპრობლემოდ დაამარცხეს პოლონეთი და გვარიანად დასვენებულები შეხვდნენ ფინალს. ერთი სიტყვით, სათამაშოდ რეალობის მკაფიო ცოდნით გავედით, რასაც მოჰყვა ის, რომ ანგარიში იტალიელებმა გახსნეს...

...აუცილებლად სათქმელია, რომ გერმანული წესის შესაბამისად, ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ. ჩვენი ნაკრები ასე იყო 1974-ში, 78-ში და 82-შიც. გერმანელები ყოველთვის ასე არიან, თავიდან ცუდად იწყებენ და შემდეგ, თამაშიდან თამაშამდე ძლიერდებიან. ეს სრულიად გააზრებული პოზიციაა. ჩვენ ვცდილობთ, არ ვხარჯოთ ზედმეტი ენერგია გუნდებთან, რომელთაც ისედაც დავამარცხებთ და შემდეგ, უკვე შეჯიბრის მეორე ეტაპიდან ჩავრთოთ მაქსიმალური სიმძლავრე, რათა, რაც შეიძლება, შორს წავიდეთ...

...სწორედ ასე მივუდექით საქმეს 1982 წელსაც და პირველ შეხვედრაში ალჟირელებთან... 1:2 წავაგეთ. შემდეგ ჩილეს შევხვდით და 4:1 დავამარცხეთ, ჯგუფის ბოლო თამაში კი ხიხონში ავსტრიასთან გვქონდა, აი, ის თამაში, რომელიც შემდეგ ყველას პირზე ეკერა. მართალი გითხრათ, ამის შესახებ ლაპარაკი არც მსურს. საქმე ისაა, რომ როდესაც ერთმანეთს ორი გუნდი ხვდება, ისინი 70 წუთის განმავლობაში ებრძვიან ერთმანეთს, შემდეგ კი ხვდებიან, რომ ეს ანგარიში ხელს აძლევთ და ჩერდებიან, ეს ლოგიკური და ნორმალურია, ჩვენ კი შევცდით — პირველი ტაიმის მიწურულს გავჩერდით და თამაშის ჩამთავრებაზე დავიწყეთ ზრუნვა...

...ეს შეცდომა შემდეგ ჩემპიონატის ბოლომდე კვალში ჩაგვიდგა და არ მოგვეშვა. ავსტრიასთან ფრის მერე ყოველი შეხვედრა თითქოს მოღრუბლული ცის ქვეშ ტარდებოდა და ასე გაგრძელდა სევილიამდე, აი, სევილიაში კი გამოიდარა. ჩვენ საფრანგეთთან 3:3 ვითამაშეთ და საქმე პენალტებამდე მივიყვანეთ, სადაც მოვიგეთ. ამ შეხვედრაში ჩვენ ყველას ვაჩვენეთ, თუ რა ძალის გუნდი ვიყავით სინამდვილეში. ჩვენი და საფრანგეთის ის შეხვედრა, ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში სამ ან ხუთ საუკეთესო და ყველაზე ამაღელვებელ მატჩებში შედის. ეს გამარჯვება იმას ნიშნავდა, რომ ავსტრიასთან ფრის შემდეგ ჩვენ რეაბილიტაცია გვერგო. წინ კი ფინალი იყო, რომელშიც, ჩვენი მეტოქე იტალია, ზოგადად, ჩვენზე ძლიერი გუნდი არ იყო, მაგრამ ნახევარფინალში გადატანილის შემდეგ, ჩვენი გამარჯვება გამორიცხული გახლდათ.

— ამგვარად, თქვენი დამარცხება ძირითადად ფიზიკური ფაქტორებით ყოფილა განპირობებული...

— დიახ, იმ დამარცხების მთავარი მიზეზი ფიზიკური მდგომარეობა იყო. ჩვენ საშინლად ვიყავით გადაღლილები და იტალიელებს, უბრალოდ, ვერ ვსდევდით. თან, როგორც მოგახსენეთ, ანგარიში მეტოქემ გახსნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებოდით. დამატებითი ძალების გამონახვისა და ორი გოლის გატანის თავი ნამდვილად არ გვქონდა.

— კეთილი, მაგრამ იტალიის ნაკრებმა არაფრით დაგამახსოვრათ თავი? ვერავის და ვერაფერს იხსენებთ გამორჩევით? იტალიის ნაკრები ძალისმიერი გუნდი იყო?

— არა, იტალიას ძალისმიერი გუნდი ნამდვილად არ ჰყავდა. გარდა ამისა, იტალიელები არ მისდევდნენ სამხრეთ ევროპელთათვის ჩვეულ „ფარულ ჯარიმათა" ტაქტიკას. მოგეხსენებათ, სამხრეთევროპულმა გუნდებმა გადამწყვეტ მატჩებში ასეთი ხერხის გამოყენება კარგად იციან. იტალიის ნაკრები კი კარგად იყო დაბალანსებული და ისევე, როგორც გერმანიის ნაკრები ან „ბაიერნი", ერთი ფეხბურთელის, ამ შემთხვევაში, პაოლო როსის გარშემო იყო აგებული. როსიმ ყველა შეხვედრა საუცხოოდ ითამაშა და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მის გარეშე იტალიელები ნახევარფინალს კი არა, მეოთხედფინალსაც ვერ მიაღწევდნენ. გერდ მიულერის დარად, მას არაფრისგან გაჰქონდა გოლები. ერთი სიტყვით, ფინალში ჩვენი მეტოქე იყო კარგი, ლამაზი ფეხბურთის მოთამაშე გუნდი, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა. ერთადერთი, ცალკე აღნიშვნის ღირსი როსი იყო.

— მოკლედ, იმის თქმა გინდათ, რომ იტალიის ნაკრები მხოლოდ ერთი ვარსკვლავის გუნდი იყო?

— დიახ. და კიდევ, იტალიის ნაკრები ბევრი სამხრეთევროპული გუნდისგან განსხვავებით, ერთსულოვანი კოლექტივი გახლდათ. დღესაც კი ბევრ ესპანელ, იტალიელ თუ პორტუგალიელ ვარსკვლავს ერთი დიდი მინუსი აქვს: შედეგზე არ ფიქრობს. ისინი ფიქრობენ ტრიბუნებსა და ტელევიზორებთან მსხდომ ხალხზე, მათთვის მთავარია, რას იტყვის ეს ხალხი, მის მიერ სამ მეტრში სამი ფეხბურთელის მოტყუებაზე. ამ ხალხს ყველაზე მეტად ის უნდა, რომ ბურთს ტრიბუნებისკენ ამოსცხოს ფეხი, ამაყად გაიჭიმოს და დაიყვიროს: შემხედეთ, რა დიდებული ვარ!

იტალიის მაშინდელი ნაკრები კი ასეთი რამისგან სრულიად განსხვავებული გახლდათ. მისი ფეხბურთელები გუნდის ინტერესებს პირადზე მაღლა აყენებდნენ.

— მაშ, ეს გვითხარით, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგეს ვის და როდის შეხვედრიხართ?

— იცით, ფეხბურთელი, ჩემთვის პრობლემა რომ შეექმნა, არ შემხვედრია. მე ყოველთვის განვეკუთვნებოდი მათ კატეგორიას, ვისთვისაც სულერთია, ვინ არის მოწინააღმდეგე. არასდროს მაინტერესებდა, რა თვისებებით გამოირჩევა მომდევნო მეტოქე. ერთხელ, ძალიან ახალგაზრდა რომ ვიყავი, მწვრთნელმა მითხრა: „რაც მეტს იფიქრებ მეტოქეზე, მით მეტად მოექცევი მისი გავლენის ქვეშ და მით მეტად დაკარგავ საკუთარ სიმძლავრეს". და მართლაც, თუ შენ კარგ ფორმაში ხარ, შენ კი არ ინერვიულებ, მეტოქე ინერვიულებს შენს გამო. ეს ლოგიკა ერთნაირად ერგება, როგორც კერძო ფეხბურთელს, ასევე მთელ გუნდს, თუმცა არსებობს ცუდი დღის ფაქტორიც და, თუ ასეთი დღე გიდგას, მაშინ ასეც წააგებ და ისეც. მეტიც, ამ შემთხვევაშიც კი, მეტოქეზე ბევრის ცოდნა შეამცირებს იმ, თუნდაც პატარა შანსს, რომელიც თამაშის წინ მაინც გაქვს...

...ადრეულ წლებში, როდესაც დაცვაში მათამაშებდნენ, მქონია დღეები, როცა თავდამსხმელი მჯობდა და მის წინააღმდეგ ვერაფერს ვაწყობდი. უკვე შემდეგ, მაგალითად, „რეალში" თამაშის წლებში, როდესაც ნახევარდაცვაში გამოვდიოდი, ხანდახან მოწინააღმდეგეებს ჩემს დასაჭერად ერთი კერძო კაცი გამოჰყავდათ. აქაც ყოფილა შემთხვევები, რომ ჩემს მეურვეს უყოჩაღია და მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ, მასზე გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი ვიყავი, ვერაფერი დამიკლია...

...მსოფლიოს ჩემპიონატებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი დღე, როდესაც ჩვენ მოვუგეთ გუნდს, რომელიც გაცილებით გვჯობდა. ეს 1974 წელს, ფრანკფურტში მოხდა: ნახევარფინალში პოლონეთს 1:0 რომ მოვუგეთ, იმას მოგახსენებთ. იმ დღეს წვიმდა, არადა, რომ არ ეწვიმა, ჩვენ ამ გუნდის დამმარცხებლები არ ვიყავით. პოლონელებს ისეთივე გუნდი ჰყავდათ, როგორიც ჩვენ 1972 წელს. ის იყო შემოქმედთა, ტექნიკურ ფეხბურთელთა, მებრძოლთა, უბრალო ჯარისკაცთა, ახალგაზრდათა და გამოცდილ ვეტერანთა ჰარმონიული ნაზავი. 1974 წელს პოლონეთის ნაკრები სჯობდა გერმანიასაც, ჰოლანდიასაც, ბრაზილიასაც და ყველას. იმ წელიწადს პოლონეთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდი იყო.

— მართლაც, ხალხი სულ ჰოლანდიის უძლიერეს ნაკრებზე ლაპარაკობს, პოლონელებს კი, ფაქტობრივად, აღარავინ იგონებს...

— დიახ, ასეა. ზუსტად იგივე ისტორიაა იმ პენალტთან დაკავშირებით, ფინალში რომ გავიტანე. ხალხი ამტკიცებს, რომ ის გოლი ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გახლდათ, მაშინ, როდესაც 1974 წლის ჩემპიონატზე სამი გოლი შევაგდე და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პირველ მატჩში გატანილი პირველი გოლი იყო. პირველ ტურში, ბერლინში ჩილეს შევხვდით. იმ შეხვედრაში ანგარიში მე გავხსენი და სწორედ ამ გოლმა განაპირობა ჩვენი ნაკრების შემდგომი გაძლიერება და ტრიუმფალური სვლა. ეს გოლი რომ არა, ფინალში დარტყმული პენალტი, უბრალოდ, არ იარსებებდა. მე ის კაცი არ ვარ, „რა მოხდებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო"-ს რომ მარჩიელობს, მაგრამ როდესაც იმ ჩემპიონატის საუკეთესო გუნდზე იწყებენ ლაპარაკს, ფინალზე სულაც არ ვიწყებ ფიქრს. რასაკვირველია, მსოფლიოს ჩემპიონები ჩვენ გავხდით, ჰოლანდიელები კი მეორეზე გავიდნენ. ისიც ვიცი, რომ ჰოლანდიელები დღემდე მიიჩნევენ, რომ ჩვენზე ძლიერები იყვნენ და ჩემპიონობას სწორედ ისინი იმსახურებდნენ, მაგრამ პირადად ჩემი აზრი სხვაა: 1974 წლის საუკეთესო გუნდი ფინალში საერთოდ არ გასულა. ის პოლონეთი იყო და ნახევარფინალში გავარდა.

— რა განწყობა იყო 1974 წელს გერმანიაში? თქვენ მასპინძელი იყავით, ფინალი კი მიუნხენში ჩატარდა... ერთი სიტყვით, შინ თამაშობდით (თქვენ ხომ მაშინ „ბაიერნში" გამოდიოდით), ფინალის შინ თამაში კი, წესით, დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ნიშნავს, მაგრამ გერდ მიულერი ცოტა სხვანაირად იგონებს. ის ამბობს, რომ ფეხბურთელები ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცულები იყავით. მართლა ასე იყო?

— ამ საკითხს ორნაირად შეიძლება შევხედოთ. უპირველეს ყოვლისა, იმას მოგახსენებთ, რომ თუ „ბაიერნის" ფეხბურთელი ხარ, ზეწოლას აუცილებლად განიცდი. ზოგადადაც, რა არის ზეწოლა? ის, რომ მიმდინარე ამბების შესახებ, რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი აზრი და მტკიცებაა. მეორე მხრივ, როდესაც „ბაიერნში" იწყებ თამაშს, თავიდანვე უნდა შეეგუო ერთ რამეს: შენ ყოველ შეხვედრაში მოსაგებად უნდა გახვიდე მოედანზე და საუკეთესო ფეხბურთი ითამაშო. ბევრი ზეწოლას ამის მოთხოვნას ეძახის, პირადად ჩემთვის კი ეს ზეწოლა არ არის, ეს ნორმალურია...

...იმავეს მოგახსენებთ ნაკრებთან დაკავშირებითაც. ზეწოლა არც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიგრძვნია, ვინაიდან ის, რაც ხდებოდა, სწორედ ის გახლდათ, რასაც ველოდი და რაც მინდოდა. გარდა ამისა, შორეულ 1974 წელს დღევანდელისგან განსხვავებით, გარშემო ამდენი ისტერია არ იყო. მაშინ ფეხბურთი დღევანდელივით დაუსრულებელი, 24-საათიანი, მსოფლიოს ყველა სტადიონს მოდებული მოვლენა არ გახლდათ. ბოლო წლებში სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობა ძალიან გაიზარდა, მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ზოგადად ფეხბურთელები ადრინდელზე უკეთ თამაშობენ, არამედ იმიტომ, რომ მაყურებელი ელის სხვა რაღაცას. დღეს ახალგაზრდობას ერთად ყო-

ფნის სურვილი აქვს და ცდილობს, თავი მსოფლიოს ჩემპიონატის, როგორც დიდი ზეიმის ნაწილად იგრძნოს. ჩვენს დროს კი ვითარება გაცილებით ზომიერი გახლდათ. დიახ, ჩვენ გვესმოდა, რომ მსოფლიოს უდიდესი შეჯიბრის მასპინძლები ვიყავით, მაგრამ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთისთვის ვემზადებოდით, გარემოსგან ჩაკეტილები ვიყავით და ზოგადი ატმოსფეროს წევრები არ ვიყავით.

— დღეს ხალხი ხშირად ამბობს, რომ ტელევიზიით მეტისმეტად ბევრ ფეხბურთს გადასცემენ...

— არ ვეთანხმები. ამ 30 წლის წინ მე ვოცნებობდი დღეზე, როდესაც 24 საათის განმავლობაში თვალწინ ფეხბურთი მექნებოდა. დახეთ სტატისტიკას, გერმანიაში დაახლოებით 40 მილიონი ადამიანია ფეხბურთით დაინტერესებული, ამათგან 25 მილიონი კი ყოველდღიურად დიდ დროს ატარებს ფეხბურთზე ფიქრსა და ლაპარაკში. როდესაც საღამოს, ეს 25 მილიონი სახლში მიდის, ტელევიზორს რთავს და ფეხბურთს უყურებს და არა პოლიტიკურ დისკუსიებს ან სერიალებს...

-გერმანიაში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ძირითადი მოთხოვნილებების, კვების, სახლ-კარისა და სხვა ამდაგვართა დაკმაყოფილების შემდეგ ადამიანები ფეხბურთს ითხოვენ. მით უფრო, დღეს, როდესაც უმუშევართა რაოდენობამ იმატა, ფეხბურთი ცარიელი დროის შესავსებად საუკეთესო საშუალებაა. აი, ასე უნდა შევხედოთ ტელევიზიით მომრავლებულ ფეხბურთს.

— და ეს არის მსოფლიოში მომრავლებული პრობლემების დავიწყების საშუალებაც, არა?

— დიახ.

— დავუბრუნდეთ 1974 წელს. იმ ჩემპიონატში თქვენ გდრ-ის ნაკრებთან წააგეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ? ხალხს უღალატეთ?

— არა, არა, ეს ჩვეულებრივი დამარცხება გახლდათ, ღალატი არაფერ შუაშია. ჩვენ, ფეხბურთელებს ამ მატჩის მიმართ არანაირი განსხვავებული მიდგომა არ გვქონდა. იცით, ფეხბურთელთაგან ბევრს პოლიტიკა, როგორც წესი, არ აინტერესებს და თან, გდრ ჩვენთვის მაშინ ჩვეულებრივი უცხოეთი იყო. ბევრ ჩვენგანს იმ ქვეყანაში, არც ნაცნობი ჰყავდა და არც ნათესავი. მე გახლდით ბავარიელი, რომელსაც გდრ-სთან არანაირი შეხება არ მქონდა და, როდესაც ბევრნი იმ ქვეყანაში დარჩენილ დებსა და ძმებზე იწყებდნენ ლაპარაკს, ჩემთვის ეს ცოტა უცხო იყო. თან, ისტორია, რომელსაც მე სკოლაში მასწავლიდნენ, 1918 წელს მთავრდებოდა, გეგონება, მერე არაფერი მომხდარიყო. შემდეგ ამბებზე ლაპარაკს მაშინ ერიდებოდნენ...

— იუგოსლავიას საუცხოო გოლი გაუტანეთ. ეს თქვენს კარიერაში საუკეთესო გახლდათ თუ ერთ-ერთი საუკეთესო?

— ეს მართლაც ყველაზე სასიამოვნოდ მოსაგონებელი გოლია. წელან ჩილესთან გატანილი გოლი ვახსენე... ჩილესთან ასე იყო: მძინარე მეკარეს 30 მეტრიდან დავურტყი, მან კი მხოლოდ მაშინ გაიღვიძა, როდესაც ბურთმა ჩაუქროლა და კარში შევარდა. ანუ, ჩემი მხრივ, ეს გოლი ასეთი გახლდათ: დაარტყი და იმედით ელოდე. სანამ ბურთი კარში შევარდა, თითების გადაჯვარედინებაც მოვასწარი. უმნიშვნელოვანესი გოლი იყო, მაგრამ იუგოსლავიის კარში გატანილს როგორ შეედრება. ის ფანტასტიკური იყო.

— ფინალში კი ჯერ ჰოლანდია დაწინაურდა. მასპინძელი გუნდი თავისი ტრიბუნების წინაშე ჩამორჩა... ალბათ საშინელ შოკში იყავით...

— დიახ, მაგრამ მოდით, ნუ გადავაჭარბებთ. მოედნიდან ტრიბუნებზე რომ აგეხედათ, მეტწილად ნარინჯისფერს დაინახავდით. არ ვიცი, რა გზით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ძალიან ბევრი ბილეთი ჰოლანდიელ მფლობელთან მივიდა. ერთი სიტყვით, არანაირი გერმანული უპირატესობა არ ყოფილა, პირველივე წუთზე ჩვენს კარში დანიშნულმა პენალტმა კი ნამდვილად იმოქმედა. საერთოდ, ჰოლანდიელები როგორ არიან, იცით? მათ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება ხელეწიფებათ, მაგრამ როდესაც გერმანიასთან თამაშობენ, სხვა რელსებზე გადადიან. თუ დაწინაურდებიან, მერე ფეხბურთს მოსაგებად კი არ თამაშობენ, ცდილობენ, ბურთის გორებით გაგვაპამპულონ და მთელს მსოფლიოს დაანახონ, რომ თავად დიდებულნი არიან, ჩვენ, გერმანელებმა კი ფეხბურთის თამაში არ ვიცით. ერთი სიტყვით, იოჰან ნეესკენსის გოლი კბილებში მუშტის მორტყმას ჰგავდა და ჩვენც ერთადერთი გზნებით აგვავსო, გვინდოდა, მეტოქე დაგვემარცხებინა...

საერთოდ ასეა: როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგეს პირველს მისცხებს, ცდილობს, მის მისამთავრებლად კიდევ მიაყაროს და მიაყაროს, მაგრამ ჰოლანდიელები ამას ვერ მიხვდნენ. მათ, უბრალოდ, ვერ გაიგეს, რა უპირატესობა აჩუქა ბედმა. დაუყოვნებლივ მოწოლის ნაცვლად დაახლოებით ხუთწუთიანი პაუზა გააკეთეს და ეს დრო საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ჩვენ პირველი შოკი გაგვევლოდა, გონს მოვგებულიყავით და მეტიც, გავბრაზებულიყავით. დიახ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გამარჯვება, ჯერ ჩემი პენალტი, შემდეგ კი გერდ მიულერის გამარჯვების გოლი, ჰოლანდიელთა ამპარტავნობისა და უყაირათობის ლოგიკური შედეგი გახლდათ.

— პენალტის ამბავზე რას გვიამბობთ? მისი დარტყმა თქვენს მეტს არავის მონდომებია?

— ჯერ კიდევ ჩემპიონატის წინ გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, ვინ დაარტყამდა პენალტებს, თუ რასაკვირველია, ასეთი რამ ჩვენს სასარგებლოდ დაინიშნებოდა. არავინ ინდომა. ამ დისკუსიაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ კარგად მესმოდა, რაც ხდებოდა ცნობილ პენალტისტთა გულებში, ისინი ნატრულობდნენ, რომ ჩვენს სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნულიყო. მაშინ მე ავდექი და ვთქვი: მე ისე მინდა მსოფლიოს ჩემპიონობა, რომ მზად ვარ, ყოველ შეხვედრაში ხუთხუთი პენალტი დავარტყა. მაგრამ მაშინ ული ჰიონესი გადაწყდა. სამწუხაროდ, ჰიონესმა შვედეთთან კი გაიტანა, მაგრამ პოლონეთთან, ნახევარფინალში ააცილა და ფინალის წინ ისევ პირვანდელი ყოყმანის სიტუაციაში ჩავვარდით...

ჰოდა, ფინალის დღეს, (თამაში 16 საათზე იყო ჩანიშნული) დილის 11-ზე ყველანი ბაზაზე, მოედანზე ვიყავით, როდესაც ჰელმუტ შიონმა იკითხა: მაშ ასე, ბატონებო, თუ პენალტი დაინიშნება, ვინ დაარტყამს? ყველა გაჩუმდა. გულში კი გამკრა, რომ ეს მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ შიონმა თქვა, რომ ამ თემას მოგვიანებით, გასახდელში დაუბრუნდებოდა. ყურებს არ ვუჯერებდი, ნუთუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პენალტის დარტყმის ბედი მხოლოდ თამაშის წინ გადაწყდება? მართლაც, თამაშის წინ გასახდელში იგივე განმეორდა. შიონმა იგივე კითხვა დასვა და ისევ ყველამ ენა გადაყლაპა. „კეთილი — თქვა მაშინ მწვრთნელმა — თუ პენალტი დაინიშნება, დამრტყმელის ვინაობას მეტოქის საჯარიმოში გაარკვევთ".

...საერთოდ, ხშირად ყოფილა, რომ მწვრთნელსა და კაპიტანს თამაშის წინ დაუვალებიათ ამა თუ იმ ფეხბურთელისთვის პენალტის დარტყმა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ერთი ადამიანისთვის ასეთი ფსიქოლოგიური ტვირთის აკიდება და მოედანზე ისე გაშვება, არ შეიძლება...

-ერთი სიტყვით, პენალტისტი მოედანზე უნდა გაგვერკვია და როდესაც პენალტი დაინიშნა, ჩემში ამოხეთქა იმან, რასაც მთელი შეჯიბრის განმავლობაში ვიგუბებდი: შენ კარგ ფორმაში ხარ და პენალტს დაარტყამ, ვუთხარი საკუთარ თავს...

-ვოლფგანგ ოვერატმა თამაშის მერე მიამბო, მე რომ ბურთთან მივედი, ის ჩემთან მოსულა და უკითხავს: ეი, პაულ, პენალტს შენ ურტყამ? მე კი მიპასუხია: გამეცალე, კარში უნდა დავმარხო.

გოლი რომ გავიტანე, მსაჯმა ცენტრისკენ მიუთითა და მთელმა ჩვენმა გუნდმა იგრძნო, რომ ტურბო ძრავა ჩაირთო...



## რობენმა ლაპარაკი შეწყვიტა

**„სანდი მეილის"** ცნობით, არიენ რობენსა და „ჩელსის" შორის მოლაპარაკება დროებით შეწყდა. კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე ვაჭრობენ.

არიენ რობენის მამა და აგენტი რამდენიმე დღის წინ შეხვდა „ჩელსის" აღმასრულებელ შეფ პიტერ კინიონს, მაგრამ მხარეები ვერ მორიგდნენ.

## შონი იყიდება

**„ჩელსი"** შონ რაიტ-ფილიპსის გაყიდვას აპირებს და ფასი დაასახელა — 10 მილიონი გირვანქა. შავკანიანი ნახევარმცველი ლონდონურ კლუბში 2005-ის ივლისში „მანჩესტერ სიტიდან" გადავიდა და მასში 21 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

რაიტ-ფილიპსმა „ჩელსიში" თავი ვერ გამოიჩინა და ამიტომაც უშვებენ გუნდიდან. მისი შეძენა „ასტონ ვილას", „ვესტ ჰემს", „ტოტენჰემს", „ლივერპულს" და „ნიუკასლს" სურთ.

## პატარა ნორვეგიელი თოფით

**ლონდონის** „არსენალმა" ნორვეგიული „ჰაუგესუნდიდან" 16 წლის მცველი ჰავარდ ნორდვეიტი იყიდა.

კლუბს ტრანსფერი ოფიციალურად არ დაუდასტურებია, თუმც „ეკიპის" ცნობით, „არსენალმა" 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

## ოლა და ალიუ

**„ლიონის"** პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ განაცხადა, რომ ალიუ დიარა, შესაძლოა, „პორტსმუთს" მიჰყიდოს.

— „პორტსმუთს" დიარას შეძენის დიდი შანსი აქვს — თქვა ოლამ — და თუ პირობებზე მოვრიგდებით, რამდენიმე დღეში კონტრაქტსაც გავაფორმებთ".

25 წლის ალიუ დიარას ფასი 9 მილიონი ევროა.

## ჟიული გაარკვევს

**„ბარსელონას"** ფრანგმა ნახევარმცველმა ლუდოვიკ ჟიულიმ გუნდში დარჩენის სურვილი გაამხილა, არადა, მამამისმა დომინიკმა რამდენიმე დღის წინ თქვა, „ბარსადან" ჩემი შვილის წასვლა გადაწყვეტილიაო.

„კლუბთან ისევ მაკავშირებს კონტრაქტი, რომელიც 2008-ის ზაფხულში იწურება. ძალიან მინდა აქ დარჩენა, მაგრამ მალე შევხვდები შეფებს და ჩემს მომავალს გავარკვევ" — განაცხადა ჟიულიმ.

## ზებრა იშიაკუ

**ბუნდესლიგაში** დაბრუნებულმა „დუისბურგმა" „ბრიუგედან" ნიგერიელი ფორვარდი მანასე იშიაკუ იყიდა. „ზებრებმა" ფეხბურთელში მილიონი ევრო გადაიხადეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„ვიმედოვნებ, რომ ჩემი გოლებით გუნდს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დავეხმარები" — თქვა იშიაკუმ.

## მარიოს აჭრი მიროზე

**ყოფილმა** ბაიერნელმა მარიო ბასლერმა განაცხადა, რომ თუ მიროსლავ კლოზე მიუნხენურ კლუბში გადავა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ექნება.

„რატომღაც მგონია, რომ მიროს „ბაიერნში" ძალიან გაუჭირდება, რადგან იქ დიდი კონკურენციაა თავდასხმაში. ლუკა ტონისთან და ლუკაშ პოდოლსკისთან ბრძოლა იოლი არაა".

## ლინკოლნი ფავორიტია

**„გალათასარაი"**, რომლის მწვრთნელადაც კარლ-ჰაინც ფელდკამპი დანიშნეს, „შალკედან" ბრაზილიელი ლინკოლნის ყიდვას ცდილობს.

„ლინკოლნი ჩემი ფავორიტი ფეხბურთელია — თქვა ფელდკამპმა — იგი „გალათასარაის" საგრძნობლად გააძლიერებს".

გერმანული მედიის ცნობით, „გალას" პრეზიდენტი ოზჰან ჯანაიდინი „შალკეს" 6 მილიონ ევროს სთავაზობს.

## აი, კონტრაქტი!

**„ველეს სარსფილდისა"** და არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი მაურო ზარატე ყატარის „ალ სადში" გადავიდა. ბიჭმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 20 მილიონ დოლარს მიიღებს.

„მომავალ კვირაში ყატარში ჩავალ და ქაღალდებს ხელს მოვაწერ" — თქვა ზარატემ, მისმა აგენტმა კი განაცხადა: „არაბულ კლუბში თამაშით კლასს ვერ აიმაღლებს, მაგრამ ოჯახს ფინანსურად ძალიან დაეხმარება".

მაურო ზარატე მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშებს, რომელიც კანადაში 30 ივნისს დაიწყება.

## კოლო კოლოს ოცდაექვსი

**„კოლო კოლომ"** აპერტურას ბოლო ტურში „პალესტინო" 1:0 დაამარცხა და 26-ედ მოიგო ჩილეს ჩემპიონატი.

გოლი უმბერტო სუაზომ გაიტანა, რომლისთვისაც ეს სეზონში მე-18 გამოდგა. სუაზო გუნდის მთავარმეგოლე გახდა და მექსიკის „მონტერეიში" გადადის.

ვაჟა ხუციშვილი

გიო ახვლედიანის
სვეტი

## რიკელმე ზამთარში

ფეხბურთი კი დაცოტავდა, მაგრამ ტელევიზორში არ გამოლეულა. დაინტერესებული კაცი იპოვის. იმ დღეს მეც ვიპოვე ერთი კარგი ფეხბურთი: „ბოკა“ — „გრემიო“ პირდაპირ „ბომბონერადან“ და ძალიანაც ვისიამოვნე.

სამხრეთში ზამთარია, ზოგიერთს ხელთათმანებიც კი ეკეთა.

კარგი ფეხბურთი იყო, ძველი ნაცნობები დიდებულად ირჯებოდნენ: მარტინ პალერმოც იქ ტრიალებდა და ხუან რომან რიკელმეც. რამდენი ხანია, რიკელმე არ მენახა ტელევიზორში და აგე, თამაშობს ძველებურად, ტკბილად, კლავინდებურად ოდნავ ნელა, ბევრი შეხებით, მაგრამ ლამაზად, ჭკვიანურად და რა ვიცი, რალაცნაირი ფეხბურთელიაო, რომ იტყვიან ხოლმე, ზუსტად ასეთია.

ხშირად მიფიქრია ხოლმე, ევროპამოვლილი ვარსკვლავების შინ, სამხრეთში დაბრუნებაზე. ძირითადად ასეა ხოლმე: ისინი სამშობლოში კარიერის დასასრულებლად ბრუნდებიან, ანდა რაღაც პირადი მიზეზის გამო. მართალია, ეს კარიერის დასრულების ამბავი შეიძლება ათ წელიწადსაც გაიწელოს, როგორც ვთქვათ, რომარიოს შემთხვევაში მოხდა, მაგრამ მთავარი ამ ბიჭებს მაინც ნათამაშევი აქვთ და ისე ბრუნდებიან შინ: ვთქვათ, მარსელო სალასი და ასე დაუსრულებლად. მარადონაც კი, რომარიოსი არ იყოს, წავიდა და ველარ დაამთავრა.

არის ხოლმე, რომ ბიჭი დიდი ამბით ჩამოვა სამხრეთ ამერიკიდან, მაგრამ წელიწადსაც ვერ გაატანს ვარსკვლავად. ასეთები ბევრს დაამართნია და მალევე შინ დაბრუნებულა, სადაც ისევ ვარსკვლავი შექნილა. თვით, ენცო ფრანჩესკოლის და კარლოს ვალდერამას ვერ დაუტოვებიათ კვალი ევროპაში, არადა, ენცო „რივერის“ ერთ-ერთი სიმბოლოა. არ ვიცი, ამ გადმობარგება-გადაბარგებებს ბევრი წვრილი თავისებურება აქვს ისე რომ, ზოგადი სურათის ჩამოყალიბებას, გვარიანად დაწვრილებითი განხილვა უნდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ან შეძელი აქეთ თამაში ისე, როგორც გინდოდა და იცოდი, ან ვერა.

ერთხელ, მახსოვს, რამბერტი იყო ასეთი არგენტინელი, მამაც ვარსკვლავი ჰყავდა, „ინტერში“ ისეთი ამბით მოიყვანეს... ინტერვიუ ჰქონდა იმედისმომცემი...

რიკელმე კი ამ ამბავშიც გამორჩეულია. ვერ იტყვი, რომ არ გამოუვიდა. ძალიანაც გამოუვიდა. ვერ იტყვი, რომ გამოუვიდა — „ბარსელონას“ ვერ მოერია თითქოს. წავიდა, იქ დაფრინავს, ნელა, როგორც იცის. რას გაუგებ, რომან რიკელმეს?



## დიდიე დეშანი იუვეს ურევსო

**დიდიე დეშანი** ძალიან განაწყენებული და გაბრაზებული ყოფილა იმით, რომ „იუვენტუსიდან“ წასვლამ მოუწია და ამის გამო ტურინელთა რიგებში არეულობის გამოწვევას ცდილობს, რაც მეტნაკლებად გამოსდის კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ფიფას აგენტი ვინჩენცო მორაბიტო.

„დეშანი ისევ უკავშირდება რამდენიმე ფეხბურთელს, რათა კლუბში აურზაური გამოიწვიოს. იგი მათ წასვლისკენ მოუწოდებს. ეს ძალიან უსამართლო და არაპროფესიონალური საქციელია, რომელიც „იუვენტუსს“ პრობლემებს უქმნის“ — თქვა მორაბიტომ.

იტალიური პრესის აზრით, მორაბიტო პირველ რიგში დავიდ ტრეზეგეს გულისხმობდა. ასევე მაურო კამორანეზის, ფედერიკო ბალძარეტისა და ჟან-ალენ ბუმსონგს.

ყველა მათგანი წამსვლელია...

ტრეზეგეს მრავალი მსურველი ჰყავს — „არსენალი“, „ლიონი“, „მარსელი“ და ასე შემდეგ. ახლა კი მათ რიცხვს ოფიციალურად შეემატა „ვალენსიაც“.

„ვადასტურებთ, რომ ტრეზეგეთი დაინტერესებულნი ვართ და დიდი სიამოვნებით დავიმატებდით“ — აღნიშნა „ღამურების“ სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ.

მარჩელო ლიპის კი მიაჩნია, რომ ტრეზეგეს წასვლა „იუვესთვის“ დიდი დანაკარგი იქნება.

ჭაღარა ტაქტიკოსს ისიც ჰკითხეს, „იუვენტუსში“ კიდევ ერთხელ დაბრუნებაზე რატომ თქვით უარიო.

ლიპი: „ფეხბურთში კიდევ რამდენიმე თვე პირადი მიზეზების გამო ვერ დავბრუნდები. „იუვეს“ წინადადებაზე უარი არ მითქვამს და ჩვენს შორის კვლავ კარგი ურთიერთობაა. კლაუდიო რანიერი თავის საქმეს მშვენივრად გააკეთებს“.

დაბოლოს, „ბიანკონერის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ხუან რომან რიკელმე დაუკავშირეს. 28 წლის არგენტინელი გამთამაშებელი „ვილიარეალს“ ეკუთვნის, მაგრამ 30 ივნისამდე „ბოკა ხუნიორსშია“ განათხოვრებული და იქ საკმაოდ კარგად თამაშობს...

**გიორგი ძაკაბაძე**

## 100 მილიონს თუ მოგვცემთ... გალაქსი ბექემით ვაჭრობს



ალექსი ლალასი

**ამერიკული** „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მენეჯერმა ალექსი ლალასმა „მირორთან“ საუბარში განაცხადა, თუ „რეალს“ ძალიან უნდა დევიდ ბექემის ყიდვა, 100 მილიონი დოლარი გადაიხადოსო.

„ყველამ იცის, „რეალისა“ და ბექემის ამბავი. მადრიდელები ცდას არ აკლებენ, რათა ფეხბურთელი შეინარჩუნონ, მაგრამ ბექემთან კონტრაქტის გასაფორმებლად ჩვენ ბევრი შრომა გავწიეთ და ბევრი ფულიც დავხარჯეთ. თუ „რეალი“ 100 მილიონ დოლარს შემოგვთავაზებს, ეგებ დავფიქრდეთ კიდეც, ეს ხომ ბიზნესია და გამორიცხული არაფერია. თუმცა ვფიქრობ, რომ მადრიდელები ამდენი ფულის გადამხდელები არ არიან“ — თქვა ლალასმა.

გეხსომებათ, ბექემს „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს და ამ ხნის განმავლობაში 250 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

„რეალის“ შეფებმა აღიარეს, რომ ბექემის გაშვება შეცდომა იყო და მისი დაბრუნება სურთ, მაგრამ უკვე გვიანია.

## ორტეგას გალოთდა
### წაიყვანეთ სადღაც, შორს!

**არიელ ორტეგას** ისევ სარეაბილიტაციო ცენტრში უკრეს თავი — ვეტერანი არგენტინელი სანტიაგო დე ჩილეს კლინიკაში წევს, რათა ალკოჰოლიზმისგან განიკურნოს.

34 წლის ფეხბურთელს წლეულს სასმელთან დაკავშირებული პრობლემა ძალიან აწვალებდა, რის გამოც „რივერ პლეიტის“ შემადგენლობაში ბევრი მატჩი გამოტოვა. ორტეგა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ცენტრში ადრეც გახლდათ, თუმცა მაშინ მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

როგორც არგენტინული „ტერსერა“ იუწყება, ვეტერანმა პატაგონიელმა გასულ კვირაში რამდენიმე ვარჯიში გააცდინა, ხოლო სამშაბათს, „რივერის“ საწვრთნელ ბაზაზე ისეთ მდგომარეობაში გამოცხადდა, რომ ხელმძღვანელობამ უმალ გადაწყვიტა, ამას მარტო კლინიკაში გადაყვანა თუ უშველისო.

მედიკოსთა რჩევით, არიელ ორტეგა ბუენოს აირესისგან, რაც შეიძლება, დაცილებულ საავადმყოფოში, სანტიაგო დე ჩილეში გადაიყვანეს...

**ლადო ხომერიკი**

## დიდი ამბების მოლოდინი

**პორტუ ალეგრეს** პოლიცია სრულ მზადყოფნაშია. ამ ქალაქში ლიბერტადორესის თასის საპასუხო ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს და ეჭვი აქვთ, რომ „გრემიოს“ ტორსიდა „ბოკა ხუნიორსის“ ინჩადას დარბევას უპირებს.

პირველ თამაშში „ლა ბომბონერაზე“, „ბოკამ“ ბრაზილიური გუნდი 3:0 დაამარცხა, ბუენოსაირესელმა ფანებმა კი „გრემიოს“ ავტობუსს ქვებისა და სხვადასხვა საგნების სეტყვა დააყარეს.

თავგახურებულ მასპინძელთაგან რამდენიმე ბრაზილიელი ფანი სერიოზულად დაზარალდა.

ახლა კი პორტუ ალეგრეში ვენდეტას გეგმავენ.

„მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, თუმცა ვიცით, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ბანაკში არიან გულშემატკივრები, რომელთაც სიტუაციის არევა ეხერხებათ“ — განაცხადა პორტუ ალეგრეს პოლიციის შეფმა.

**ლადო ხომერიკი**



AFP

## კეიტა + ბოდმერი = 22 მილიონს

**„ლილის“** ფორვარდი კადერ კეიტა და ნახევარმცველი მეთიუ ბოდმერი „ლიონში“ გადავიდნენ. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა საფრანგეთის ჩემპიონმა კლუბმა.

ორივე ფეხბურთელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კოტდივუარელ კეიტაში ლიონელებმა 16 მილიონი ევრო გადაიხადეს, ბოდმერში კი — 6 მილიონი.

## რესინო გაგრძელდება

**„ლევანტეს“** მწვრთნელმა აბელ რესინომ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა მეკარემ „ლევანტე“ ხუან რამონ ლოპეს კაროსგან ჩაიბარა და მისი თავკაცობით გუნდმა პრიმერადივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

## პორტილიო ოსასუნაში

**მადრიდის** „რეალის“ ყოფილმა ფორვარდმა ხავიერ პორტილიომ, რომელიც „ხიმნასტიკში“ იყო განათხოვრებული, „ოსასუნასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ხიმნასტიკი“ ელიტიდან ჩაქვეითდა და ფეხბურთელმაც თავს უშველა.

„ძალიან მინდოდა დარჩენა, მაგრამ სეგუნდადივიზიონში თამაში ჩემს კარიერას არ წაადგებოდა და ამიტომაც გადავედი „ოსასუნაში“ — თქვა 25 წლის პორტილიომ.

**გაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXXVIII ტური

**რეალი 3:1 მალიორკა**
0:1 ვარელა (16), 1:1 რეიესი (68), 2:1 დიარა (79), 3:1 რეიესი (82)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ს. რამოსი, კანავარო, რ. კარლოსი, ბექჰემი (რეიესი 65), ემერსონი (გუტი 46), დიარა, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (იგუაინი 32)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მალიორკა: მოია, ფ. ნავარო, ვარელა, ნუნიესი (რამისი 35), ბალესტეროსი, ექტორი, პერეირა (ტრეხო 89), ბასინასი, არანგო, ხონასი, ვიქტორი (მაქსი ლოპესი 67)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ვიქტორი, ხონასი, კარლოსი, გუტი, რეიესი, ბალესტეროსი, მაქსი ლოპესი, სალგადო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
85 000 მაყურებელი

**ხიმნასტიკი 1:5 ბარსელონა**
0:1 პუიოლი (20), 0:2 მესი (34), 0:3 რონალდინიო (37), 0:4 მესი (49), 1:4 გრანი (83), 1:5 ძამბროტა (89)
ხიმნასტიკი: რუბენ პერესი, სესარ ნავასი, პ. კალვო, მატელანი, მარკო, კუელიარი (გრანი 63), შაბო, მორალესი (მერინო 72), ხენერელო (პინილია 56), პორტილიო, იზურზუნი
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ტურამი (ოლეგერი 72), ვან ბრონკჰორსტი, ხავი, დეკუ (მოტა 72), ინიესტა, რონალდინიო, ეტოო, მესი (ესკერო 81)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: სესარ ნავასი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
12 000 მაყურებელი

**სევილია 0:1 ვილიარეალი**
0:1 ფუენტესი (50)
სევილია: პალოპი, დავიდი, ესკუდე, აიტორ ოსიო, ჰინკელი (მარესკა 46), პოულსენი, პუერტა, მარტი, ალფარო (ჩევანტონი 55), ლუიშ ფაბიანო (კერჟაკოვი 55), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, ხოსე ენრიკე, ფუენტესი, ხოსიკო (სომოსა 40), ჩანი, სენა, პირესი, ტომასონი (არუაბარენა 87), გ. ფრანკო (ნიჰათი 80)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ფრანკო, პოულსენი, ხავი ვენტა, ჩევანტონი, აიტორ ოსიო, ფუენტესი
მსაჯი: პერეს ბურული
50 000 მაყურებელი

**ვალენსია 3:3 სოსიედადი**
0:1 გარიტანო (2), 1:1, 2:1 ვილია (5, 18), 2:2 დე სერიო (35), 3:2 ვილია (81), 3:3 მორეტი (90ს.კ.)
ვალენსია: ბუტელე, კურო ტორესი, მორეტი, კორკოლესი, ალბელდა (პალიარდო 60), ბარახა, ხორხე ლოპესი (ნაჩო ინსა 84), გავილანი (რეგეირო 75), ალბიოლი, დ. სილვა, ვილია
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
სოსიედადი: რიესგო, ხუანიტო (მ. ალონსო 68), აიტორი (ნოვო 68), ანსოტეგი, ვ. ლოპესი, ხერარდო, გარიტანო, სავიო, ესტრადა, კოვაჩევიჩი (ერერა 77), დე სერიო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ხორხე ლოპესი, ვ. ლოპესი, ერერა
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
45 000 მაყურებელი

**უელვა 1:1 სარაგოსა**
1:0 ხავი გერერო (3), 1:1 დ. მილიტო (74)
უელვა: ლაკაიტე, მერინო (იაგო 54), პოლი, არზო, კაზორლა, ხესუს ვასკესი, ბეტუ, აიტორი, ჩელი (ხუანმა 69), უჩე (სინამა-პონიოლი 60), ხავი გერერო
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
სარაგოსა: სესარი, გ. მილიტო, პიკე, ერერო, მოვილია (ევერტონი 46), დალესანდრო (ლონგასი 54), ლაფიტა, სელადესი, საპატერი, აიმარი, დ. მილიტო (არანსაბალი 78)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: მოვილია, გ. მილიტო, დალესანდრო, ლაფიტა, ერერო
გაძევება: პიკე (61)
მსაჯი: პერეს ლასა
10 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:2 ატლეტიკო**
0:1 მაქსი როდრიგესი (38), 1:1 მილოშევიჩი (47), 1:2 მონრეალი (5ს.კ.)
ოსასუნა: ელია (რიკარდო 60), ისკიერდო, მონრეალი, მ. ფლანიო, კუელიარი, პუნიალი, ხუანფრანი, დ. ლოპესი, ექტორ ფონტი, მუნიოსი (სოლა 71), მილოშევიჩი (ჯოკინი 84)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ა. ლოპესი, ელერი, ზე კასტრო, კოშტინია, მაქსი როდრიგესი (გალეტი 81), მანიშე, პეტროვი (ხურადო 80), ფ. ტორესი, აგერო (გაბი 72)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მუნიოსი, სეიტარიდისი, გაბი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
15 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:3 დეპორტივო**
1:0 ტამუდო (47პ), 1:1 იაგო (61), 1:2 სერხიო (63), 1:3 რიკი (85)
ესპანიოლი: ირაისოსი, ზიკა, ლაკრუსი (ჟულიანი 72), ტორეხონი, ხარკე, ჟონატასი, რუფეტე, ანხელი (იტო 79), ლუის გარსია, კორომინასი, ტამუდო
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
დეპორტივო: ავატი, კოლოჩინი, ლოპო, ანდრადე, ფილიპე, სერხიო (ვერდიუ 68), ხუან როდრიგესი, იაგო, ბოდიპო (მანუელ პაბლო 46), არისმენდი (რიკი 79), კრისტიანი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ანდრადე, ანდრადე, სერხიო, ჟონატასი, ანხელი, ფილიპე
გაძევება: ანდრადე (14)
მსაჯი: რუბინოს პერესი
30 000 მაყურებელი

**რასინგი 0:2 ბეტისი**
0:1, 0:2 ედუ (80, 88)
რასინგი: კალატაიუდი, პაბლო ალფარო, პინილიოსი, რუბენი, მომო (კრისტიანი 69), კოლსა, კ. ალვარესი, ანტონიო ტომაში (ფელიპე მელო 65), ხუანხო, მუნიტისი, ოსკარ სერანო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ პორტუგალი
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, რივასი, ილიჩი, ფ. ვეგა, რივერა, ასუნსაო (ფერნანდო 75), ოდონკორი (დანი 54), ედუ, ხისკო, სობისი (მალდონადო 78)
მწვრთნელი: პაკო ჩაპარო
გაფრთხილება: პინილიოსი, დანი, ოსკარ სერანო, რივასი
მსაჯი: მეხია დავილა
10 000 მაყურებელი

**ბილბაო 2:0 ლევანტე**
1:0 სერანო (60ს.კ.), 2:0 გაბილონდო (76)
ბილბაო: არანსუბია, ექსპოზიტო, კასასი, უსტარიცი, სარიეგი, მურილიო, იესტე (გაბილონდო 65), ირაოლა (ტიკო 72), ხავი მარტინესი (ადურიცი 55), ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ლევანტე: მოლინა, ალექსისი, რუბიალესი, სერანო, დესკარგა, ეტიენი (ნინიო 69), რიგა, ბერსონი (ნდიაიე 77), ტომაზი, რობერი, რეგი (მეიონგი 67)
მწვრთნელი: აბელ რესინო
გაფრთხილება: ტომაზი, ირაოლა, სარიეგი, ეტიენი, ტიკო
მსაჯი: ველასკო კარბალიო
41 000 მაყურებელი

**სელტა 2:1 ხეტაფე**
0:1 რედონდო (24), 1:1 ბამოგო (36), 2:1 ლეკი (66)
სელტა: პინტო, ლეკი, ანხელი, პლასენტე, ტამაში, იაგო იაო, ოუბინია, ნუნიესი (ხონათან ვილა 77), გ. ლოპესი, ნენე (ხ. პერერა 67), ბამოგო (გიარე 72)
მწვრთნელი: ხრისტო სტოიჩკოვი
ხეტაფე: ლუისი, ბელენგერი (ტენა 75), რ. პულიდო, ლიხტი, დ. კორტესი, ნაჩო (გიზა 75), რედონდო, ალბერტო, ვერპაკოვსკისი, სოუზა, მანუ (პაჩონი 62)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ტამაში, ნაჩო, ლეკი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
20 000 მაყურებელი

# BRAVO!



AFP

**რითი** დავიწყოთ, საფინალო სასტვენის მერე „სანტიაგო ბერნაბეუს“ დიდებული ხედით, მამადუ დიარას საჩემპიონო გოლით თუ სხვა რამით?

„რეალ“ — „მალიორკა“ ერთი უბრალო თამაში რომ ყოფილიყო, დაწყებაც უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ არ მატჩის ფასი თავადაც მოგეხსენებათ, ამიტომ დაწყებაც ეგებ უფრო შორიდან ჯობდეს.

გახსოვთ, შუა სეზონში „ბარსელონა“ თითქმის ჩემპიონად რომ ჰყავდა ყველას შერაცხული?

გახსოვთ, ამ რვა თუ ცხრა ტურის წინ ფაბიო კაპელომ „რეალის“ ყველა დარჩენილი თამაში ფინალად რომ გამოაცხადა და იმ თამაშებიდან რამდენი მოიგეს მადრიდელებმა ბოლო წუთებზე, წარმოუდგენლად დრამატულ ბრძოლებში?

გახსოვთ, ბოლოსწინა ტური, რომელშიც „ბარსა“ ბოლო წუთამდე იგებდა, „რეალი“ კი ბოლო წუთამდე მარცხდებოდა?

რა დაგავიწყებდათ!

თუმცა ესპანური სეზონის ვრცელ მიმოხილვა-შეჯამებას დღეები გაივლის და, მივუბრუნდებით, ქვემოთ კი ამ სეზონის ბოლო ტურისა ვთქვათ.

ტური ხუთი ადრიანი თამაშით დაიწყო და ამ თამაშებში გასავარდნ-დამრჩენთა ბედი წყდებოდა. „ხიმნასტიკს“ აღარაფერი შველოდა, დანარჩენების საქმე კი ასე იყო: „სოსიედადის“ ხსნა „ბეტისის“ დამარცხებაში იყო და ისიც იმ პირობით, თავად თუ მოიგებდა, „ბილბაო“ კი არ დამარცხდებოდა. „სოსიედადმა“ ვერ მოიგო, „ბეტისმა“ და „ბილბაომ“ კი გაიმარჯვეს და სანსებასტიანელებთან ერთად „სელტაც“ სეგუნდას გზას გაუყენეს.

ისე, „სოსიედადის“ თამაში ვალენსიაში უნიკალური იყო — გახსენდებათ სხვა თამაში, რომელშიც სამი ავტოგოლი გავიდა?

პო, „ბილბაოც“ ავტოგოლით დაწინაურდა „ლევანტესთან“, „ბეტისი“ კი მე-80 წუთამდე ვერ იგებდა სანტანდერში და ესეც ბოლო იმედი იყო „სელტასთვის“ — ვიგოელები „ხეტაფეს“ უგებდნენ და ყური სანტანდერისკენ ჰქონდათ. ათი წუთი დააკლდათ პრიმერაში დარჩენამდე...

ხოლო საჩემპიონო ბრძოლა, გვიან თამაშებში რომ ირკვეოდა...

პირველივე წუთზე „ბერნაბეუმ“ ამოიოხრა — მალიორკელებმა ბურთი ძელს გაარტყეს.

მე-17 წუთი: „რეალი“ ვერც იმ ხარიხამ გამოაფხიზლა და სენსაცია — ვარელამ კასილიასს გაუტანა. ოღონდ ისიც გავიმეოროთ, რომ „რეალისგან“ ამგვარ სენსაციურად გაშვებულ გოლებს კარგა ხანია, დავეჩვიეთ.

მე-20 წუთი ტარაგონაში: მალიორკული გოლით შეგულიანებულ ბარსელონელებს „ხიმნასტიკის“ კარში პირველი გოლი გააქვთ. სეზონის დასრულებამდე 70 წუთით ადრე ჩემპიონობის ფავორიტი „ბარსა“ ხდება.

68-ე წუთი მადრიდში: რეიესი ათანაბრებს, თუმცა ფავორიტი კვლავაც „ბარსელონაა“, რომელსაც ამ დროისთვის უკვე ოთხი გოლი აქვს გატანილი ტარაგონელთათვის. სეზონის დასრულებამდე 22 წუთი რჩება და ისიც ვთქვათ, რომ რეიესის გოლამდე მალიორკელებს კიდევ ერთი ნაღდი მომენტი ჰქონდათ.

და კულმინაცია, რომელიც მე-80 წუთზე დადგა: მადრიდელებმა კუთხური ჩააწოდეს. დიარამ თავი დასცხო, მეკარემ ბურთს ხელი წაჰკრა, ძელთან მდგომ მცველს მოხვდა და... კარში შეგორდა.

სეზონის დასრულებამდე 10 წუთი კიდევ იყო, ოღონდ ოფიციალური ქრონომეტრაჟით — რეალურად კი, ამ გოლმა ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა.

„რეალის“ მესამე გოლი კი უკვე გაჩემპიონებული გუნდის გოლი იყო!

**ქოთე ქექელია**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 38 | 23 | 7 | 8 | 66:40 | 76 |
| ბარსელონა | 38 | 22 | 10 | 6 | 78:33 | 76 |
| სევილია | 38 | 21 | 8 | 9 | 64:35 | 71 |
| ვალენსია | 38 | 20 | 6 | 12 | 57:42 | 66 |
| ვილიარეალი | 38 | 18 | 8 | 12 | 48:44 | 62 |
| სარაგოსა | 38 | 16 | 12 | 10 | 55:43 | 60 |
| ატლეტიკო | 38 | 17 | 9 | 12 | 46:39 | 60 |
| უელვა | 38 | 15 | 9 | 14 | 54:52 | 54 |
| ხეტაფე | 38 | 14 | 10 | 14 | 39:33 | 52 |
| რასინგი | 38 | 12 | 14 | 12 | 42:48 | 50 |
| მალიორკა | 38 | 14 | 7 | 17 | 41:47 | 49 |
| ესპანიოლი | 38 | 12 | 13 | 13 | 46:53 | 49 |
| დეპორტივო | 38 | 12 | 11 | 15 | 32:45 | 47 |
| ოსასუნა | 38 | 13 | 7 | 18 | 51:49 | 46 |
| ლევანტე | 38 | 10 | 12 | 16 | 37:53 | 42 |
| ბეტისი | 38 | 8 | 16 | 14 | 36:49 | 40 |
| ბილბაო | 38 | 10 | 10 | 18 | 44:62 | 40 |
| სელტა | 38 | 10 | 9 | 19 | 40:59 | 39 |
| სოსიედადი | 38 | 8 | 11 | 19 | 32:47 | 35 |
| ხიმნასტიკი | 38 | 7 | 7 | 24 | 34:69 | 28 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (რეალი) | 25 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 23 |
| კანუტი (სევილია) | 21 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 21 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 19 |
| ვილია (ვალენსია) | 17 |

### სეგუნდადივიზიონი XLII ტური

კასტელიონი — მალაგა 0:1; კადისი — რეალი B 3:3; ალავესი — პონფერადინა 1:2; ალბასეტე — ლორკა 1:0; ერკულესი — ელჩე 0:2; ლას პალმასი — პოლი ეხიდო 0:2; მურსია — ტენერიფე 1:4; სპორტინგი — ხერესი 2:1; სალამანკა — სიუდად მურსია 1:0; ნუმანსია — ვალიადოლიდი 1:2; ალმერია — ვესინდარიო 3:0

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 42 | 26 | 10 | 6 | 70:35 | 88 |
| ალმერია | 42 | 24 | 8 | 10 | 73:48 | 80 |
| მურსია | 42 | 21 | 13 | 8 | 62:45 | 76 |
| სიუდად მურსია | 42 | 18 | 9 | 15 | 52:44 | 63 |
| კადისი | 42 | 15 | 16 | 11 | 53:45 | 61 |
| ალბასეტე | 42 | 16 | 12 | 14 | 49:48 | 60 |
| ტენერიფე | 42 | 18 | 6 | 18 | 4851 | 60 |
| ნუმანსია | 42 | 15 | 13 | 14 | 4844 | 58 |
| ხერესი | 42 | 16 | 10 | 16 | 46:42 | 58 |
| პოლი ეხიდო | 42 | 16 | 10 | 16 | 52:50 | 58 |
| ელჩე | 42 | 16 | 10 | 16 | 46:46 | 58 |
| სალამანკა | 42 | 15 | 12 | 15 | 53:49 | 57 |
| კასტელიონი | 42 | 15 | 11 | 16 | 4841 | 56 |
| სპორტინგი | 42 | 16 | 8 | 18 | 53:53 | 56 |
| მალაგა | 42 | 14 | 13 | 15 | 49:50 | 55 |
| ერკულესი | 42 | 14 | 12 | 16 | 4852 | 54 |
| ალავესი | 42 | 13 | 13 | 16 | 51:60 | 52 |
| ლას პალმასი | 42 | 13 | 12 | 17 | 51:59 | 51 |
| რეალი B | 42 | 13 | 10 | 19 | 55:67 | 49 |
| პონფერადინა | 42 | 11 | 13 | 18 | 45:61 | 46 |
| ლორკა | 42 | 9 | 10 | 23 | 37:60 | 37 |
| ვესინდარიო | 42 | 9 | 7 | 26 | 42:81 | 34 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის 2007 წლის U-21 ჩემპიონატი

### A ჯგუფი
III ტური

**ბელგია 2:2 ჰოლანდია**
1:0 მირალასი (9), 1:1 რიგტერსი (13), 1:2 დრენტე (37), 2:2 პოკონოლი (70)

**ისრაელი 0:4 პორტუგალია**
0:1 მ. ფერნანდეში (37), 0:2 ვაზ ტე (45), 0:3 ველოზო (49), 0:4 ნანი (50)

### B ჯგუფი
III ტური

**ინგლისი 2:0 სერბეთი**
1:0 ლიტა (5), 2:0 დერბიშირი (76)

**იტალია 3:1 ჩეხეთი**
1:0 აკილანი (3), 1:1 პაპადოპულოსი (14), 2:1 კიელინი (29), 3:1 ჯ. როსი (45)

## დანია

### I დივიზიონი. XXIX ტური
აკადემისკი — ტისტედი 2:0; ფკ ორჰუსი — ლიუნგბიუ 1:2; ფრედერისია — ნესტველი 2:1; ფრემი — კიოგე 3:2; ჰერფიოლგე — ფრემადი 8:1; ჰელერუპი — იოლსტიკე 1:0; კოლდინგი — ორჰუსი 0:2; სიონდერისკე — ბრაბრანდი 2:2

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა
X ტური

ოულუ — კტპ 1:2; ჰიკ — ჰაკა 2:1; მიუპა — ინტერი 1:3; ტამპერე — იარო 2:1; მარიეჰამნი — ტურკუ 0:3. ჰონკა — ლაჰტი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 10 | 7 | 2 | 1 | 14:8 | 23 |
| ტურკუ | 10 | 6 | 2 | 2 | 19:8 | 20 |
| ჰაკა | 9 | 5 | 2 | 2 | 10:7 | 17 |
| ჰონკა | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| ჰიკ | 10 | 3 | 5 | 2 | 12:12 | 14 |
| ლაჰტი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:11 | 13 |
| მიუპა | 10 | 3 | 4 | 3 | 10:9 | 13 |
| იარო | 10 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 |
| კტპ | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| ოულუ | 10 | 2 | 3 | 5 | 9:17 | 9 |
| ინტერი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:11 | 8 |
| მარიეჰამნი | 9 | 1 | 5 | 3 | 5:9 | 8 |
| ვიიკინგიტი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| ვაასა | 10 | 1 | 4 | 5 | 10:22 | 7 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა
X ტური

ლინი — ბრანი 6:0; ალესუნდი — სტაბეკი 1:4; ფრედრიკსტადი — სტარტი 3:0; სანდეფიორდი — სტრიომსგოდსეტი 0:1; ვიკინგი — ტრომსიო 3:1; ლილესტრიომი — ვოლერენგა 0:1. ოდ გრენლანდი — რუსენბორგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 10 | 6 | 2 | 2 | 20:18 | 20 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 4 | 1 | 16:10 | 19 |
| ვიკინგი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:13 | 18 |
| ლილესტრიომი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:11 | 17 |
| ფრედრიკსტადი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 15 |
| სტრიომსგოდსეტი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:15 | 15 |
| ლინი | 10 | 4 | 2 | 4 | 23:18 | 14 |
| რუსენბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:13 | 14 |
| ტრომსიო | 10 | 4 | 1 | 5 | 17:18 | 13 |
| სტარტი | 10 | 3 | 4 | 3 | 16:18 | 13 |
| ვოლერენგა | 10 | 3 | 3 | 4 | 8:10 | 12 |
| სანდეფიორდი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| ალესუნდი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| ოდ გრენლანდი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:13 | 4 |

### I დივიზიონი
XI ტური

ჰამ კამი — მოსი 1:1; ბოდიო გლიმტი — რაუფოსი 5:0; ჰაუგესუნდი — მოლდე 2:4; კონგსვინგერი — ლოვ ჰამი 0:1; მანდალი — სპარტა 1:2; ნოტოდენი — ჰიონეფოსი 4:0; სკეიდი — სოგნდალი 0:2; ტრიომსდალენი — ბრინი 1:1

## იტალია

### სერია B. პლეი აუტი
პირველი მატჩი

**სპეცია 2:1 ვერონა**
*საპასუხო მატჩი გაიმართება 22 ივნისს*

### სერია C. გადასასვლელი პლეი ოფი. ფინალი
საპასუხო მატჩები

***აველინო*** **3:0დ.დ.(1:0) ფოჯა (0:1)**

***პიზა*** **2:0დ.დ.(1:0) მონცა (0:1)**

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**ლუჩ-ენერგია 3:0 ლოკომოტივი**
1:0, 2:0 ა. ივანოვი (10, 66), 3:0 შეშუკოვი (88)

**ცსკა 0:0 ტომი**

**ხიმკი 2:2 ზენიტი**
0:1 ტიმოშჩუკი (113), 1:1 არხიპოვი (60), 1:2 არშავინი (70), 2:2 შიროკოვი (90)

**სატურნი 1:0 როსტოვი**
1:0 კირიჩენკო (28)

**რუბინი 1:0 კრილია**
1:0 რიაზანცევი (42)

**ნალჩიკი 0:1 ამკარი**
0:1 ბელორუკოვი (60)

**მოსკვა 2:0 სპარტაკი**
1:0 სემაკი (5), 2:0 ადამოვი (34)

**ყუბანი 0:4 დინამო**
0:1 ხოხლოვი (12), 0:2 დანი (56), 0:3 ხოხლოვი (66), 0:4 კომბაროვი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 5 | 6 | 2 | 18:13 | 21 |
| ზენიტი | 13 | 5 | 6 | 2 | 18:15 | 21 |
| მოსკვა | 12 | 5 | 5 | 2 | 11:7 | 20 |
| სპარტაკი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:14 | 20 |
| დინამო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:13 | 19 |
| კრილია | 13 | 5 | 4 | 4 | 14:11 | 19 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 5 | 3 | 11:12 | 17 |
| ხიმკი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:13 | 16 |
| ყუბანი | 13 | 3 | 7 | 3 | 12:15 | 16 |
| ამკარი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:11 | 15 |
| ტომი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:14 | 15 |
| ლუჩ-ენერგია | 13 | 4 | 3 | 6 | 12:13 | 15 |
| სატურნი | 12 | 2 | 8 | 2 | 11:12 | 14 |
| რუბინი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:15 | 14 |
| ნალჩიკი | 13 | 2 | 6 | 5 | 7:13 | 12 |
| როსტოვი | 13 | 1 | 7 | 5 | 10:16 | 10 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXX ტური
არსენალი — დინამო 0:1; დნიპრო — მეტალისტი 0:2; ხარკოვი — კრივბასი 2:0; კარპატი — ჩერნომორეცი 0:1; შახტარი — მეტალურგი (ზ) 0:2; სტალი — ზარია 0:1; ტავრია — მეტალურგი (დ) 2:0; ვორსკლა — ილიჩევეცი 3:0

## არგენტინა

### კლაუსურა. XIX ტური
რივერ პლეიტი — ველესი 3:2; არგ. ხუნიორსი — ხიმნასია (ლ) 0:0; კოლონი — როსარიო 3:1; კილმესი — სან ლორენსო 1:2; ხიმნასია (ხ) — ინდეპენდიენტე 1:3; რასინგი — გოდოი კრუზი 4:2; ბელგრანო — ბანფილდი 3:0; ოლდ ბოისი — ეუევა ჩიკაგო 0:2; არსენალი — ესტუდიანტესი 1:1; ლანუსი — ბოკა ხუნიორსი 0:0

## ბრაზილია

### სერია A. VI ტური
კორინთიანსი — პარანა 0:0; ფლამენგო — ინტერნასიონალი 2:2; გრემიო — კრუზეირო 0:2; ატლ. მინეირო — ფიგეირენსე 4:1; ატლ. პარანენსე — ფლუმინენსე 1:1; გოიასი — პალმეირასი 3:1; სან პაულუ — ვასკუ და გამა 2:0. *ბოტაფოგო — ნაუტიკო, ჟუვენტუდე — სანტოსი და სპორტ რესიფე — ამერიკა წუხელ გვიან დამთავრდა*

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XV ტური
კობე — ოიტა 1:3; კავაზაკი — კაშივა 0:0; შიმიცუ — იოკოჰამა 1:1; კაშიმა — ჰიროშიმა 5:1; გამბა — ნაგოია 3:1; ომია — ნიიგატა 2:1; ფკ იოკოჰამა — ივატა 1:2; ტოკიო — ურავა 0:2; იჩიჰარა — კოფუ 3:2

## კონკაკაფის ოქროს თასი 2007

### მეოთხედფინალი
კანადა — გვატემალა 3:0; აშშ — პანამა 2:1. მექსიკა — კოსტა რიკა 1:0დ.დ. *ჰონდურასი — გვადალუპე წუხელ გვიან დამთავრდა*

## აფრიკის ერთვნებათა თასი 2008

### შესარჩევი ეტაპი. V ტური
მალავი — მაროკო 0:1; ზამბია — ჩადი 1:1; ნამიბია — კონგოს დრ 1:1; კაბო ვერდე — გამბია 0:0; ალჟირი — გვინეა 0:2; ბურკინა ფასო — ტანზანია 0:1; ერითრეა — კენია 1:0; სეიშელი — სუდანი 0:2; ტუნისი — მავრიკეთი 2:0; ბოტსვანა — მავრიტანია 2:1; მადაგასკარი — გაბონი 0:2; ნიგერი — ნიგერია 1:3; კამერუნი — რუანდა 2:1; ლიბერია — ეკვატორული გვინეა 0:0; ანგოლა — სვაზილენდი 3:0; მოზამბიკი — სენეგალი 0:0; ბენინი — ტოგო 4:1; მალი — სიერა ლეონე 6:0; ლიბია — ეთიოპია 3:1; კონგო — სამხრეთ აფრიკა 1:1. *ლესოტო — უგანდა და ბურუნდი — ეგვიპტე გადაიდო*

## აშშ

### MLS. XIII ტური
ნიუ ინგლენდი — კოლუმბუსი 3:3; ვაშინგტონი — ჩიკაგო 3:1; ნიუ იორკი — კანზასი 3:3; ჩივასი — კოლორადო 2:0; ტორონტო — დალასი 4:0. *ლოს ანჯელესი — სოლტ ლეიკი წუხელ გვიან დამთავრდა*

## ჩილე

### აპერტურა. XX ტური
კობრესალი — უნივ. დე ჩილე 4:1; აუდაქს იტალიანო — ლა სერენა 2:1; კოლო კოლო — პალესტინო 1:0; კოკიმბო — უნივ. კათოლიკა 0:2; ო ჰიგინსი — პუერტო მონტი 2:1; ატლეტიკო — სანტიაგო 2:1; ლოტა — ანტოფაგასტა 1:1; მელიპილია — უაჩიპატო 2:4; უნიონ ესპანიოლა — კობრელოა 1:1; უნივ. კონსეპსიონი — დეპ. კონსეპსიონი 0:0

## შვედეთი

### ალსვენსკა. X ტური
გიოტებორგი — კალმარი 3:2; იორებრო — ბრომაპოიკარნა 4:0. *ელფსბორგი — ტრელებორგი, გეფლე — აიკ და ჰელსინგბორგი — გაის დღეს გაიმართება, ჰამარბი — იურგორდენი ხვალ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:11 | 18 |
| გიოტებორგი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:12 | 17 |
| იურგორდენი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:8 | 16 |
| მალმიო | 10 | 4 | 4 | 2 | 13:8 | 16 |
| კალმარი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:11 | 16 |
| ელფსბორგი | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 16 |
| ჰამარბი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:7 | 12 |
| გეფლე | 9 | 3 | 3 | 3 | 9:11 | 12 |
| იორებრო | 10 | 2 | 5 | 3 | 11:13 | 11 |
| გაის | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| აიკ | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | 11 |
| ტრელებორგი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:18 | 11 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 3 | 1 | 5 | 11:12 | 10 |
| ბრომაპოიკარნა | 10 | 1 | 3 | 6 | 8:20 | 6 |

### სუპერეტა. X ტური
ენჩიოპინგი — მიალბი 2:1; ჰევენი — ლიუნგსკილე 0:1; ლანდსკრონა — იორგრიტე 2:1; სუნდსვალი — სირიუსი 0:0; ბანკერიდი — ნორჩიოპინგი 2:6; ფალკენბერგი — იონკოპინგი 1:1; იოსტერსი — დეგერფორსი 0:0. *სილვია — ატვიდაბერგი დღეს გაიმართება*

## ესლა აკლდა

**„რეჯინას“** მწვრთნელად მასიმო ფიკადენტეს ნიშნავენ. რეჯოკალაბრიული გუნდი ერთადერთი უთავკაცო იყო სერია A-ში და მასაც უნახეს ხელმძღვანელი.

„ტორინოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ფიკადენტემ მწვრთნელობა 33 წლისამ დაიწყო „ფიორენცუოლაში“, რასაც მოჰყვა „აველინო“, „პისტოიეზე“ და „ვერონა“, საიდანაც 2006-ის დეკემბერში გაათავისუფლეს.

იგი „სამპდორიაში“ გადასულ ვალტერ მაცარის შეცვლის.

## ხიმენესმა ინტერი დამალა

**„ლაციოს“** ჩილელი ნახევარმცველი ლუის ხიმენესი გუნდიდან მიდის. რომაელებმა ფეხბურთელი იანვარში „ტერნანასგან“ ითხოვეს და იჯარის ვადა დაუსრულდა.

„ჩემმა ახალმა გუნდმა „კოპა ამერიკას“ გამოტოვება მირჩია და სეზონისწინა შეკრებაზე უნდა შევუერთდე. ახალი კლუბის სახელს ჯერ ვერ გავამხელ“ — თქვა ხიმენესმა. იტალიური მედიის ცნობით კი, ჩილელი „ინტერში“ გადადის.

## ლუკა ივნისამდე

**„პარმას“** მეკარე ლუკა ბუჩიმ კონტრაქტი 2008-ის ივნისამდე გაახანგრძლივა. 38 წლის გოლკიპერი პარმელთა აკადემიის აღზრდილია, გასულ სეზონში 26 მატჩი ითამაშა და გუნდი რომ სერია A-ში დარჩა, მისი დამსახურებაცაა.

ბუჩის დებიუტი სერია A-ში 1993 წელს შედგა „უდინეზესთან“ მატჩში. 1998-ში „ტორინოში“ იყო, 2003-ში „ემპოლიში“, ორი წლის შემდეგ კი „პარმაში“ დაბრუნდა.

## მფრინავი ვირების მწყემსი

**სერია B-ში** ჩაქვეითებული „კიევოს“ მწვრთნელად ჯუზეპე ლაკინი დანიშნეს. მან ბოლო სამი სეზონი „პიაჩენცაში“ გაატარა, მეოთხე ადგილზე გაიყვანა გუნდი და ერთი ქულაღა დააკლდა სერია A-ში გადასასვლელ პლეი ოფში მოსახვედრად.

## ფიორენტინა: კვარესმა-ტეილორი

**„ფიორენტინას“** ორი ფეხბურთელის ყიდვა უნდა — „პორტუდან“ რიკარდუ კვარესმასი, „ნიუკასლიდან“ კი სტივენ ტეილორის.

„იები“ პორტუგალიელ ნახევარმცველს ორჯერ მეტ ჯამაგირს სთავაზობენ (1 მილიონი ევრო), ვიდრე ამჟამად აქვს.

მისი გადაბირება „ჩელსის“, „ატლეტიკოს“ და „ინტერსაც“ სურთ. „ფიორენტინა“ კვარესმაში 12 მილიონს იხდის.

„იების“ სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინო რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიაში იყო და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ნიუკასლელ სტივენ ტეილორს აკვირდებოდა.

## ტყუპების გაერთიანება

**ტყუპი** ძმები, ანტონიო და ემანუელ ფილიპინები მომავალი სეზონიდან ალბათ ისევ ერთ გუნდში, ამჯერად „ლივორნოში“ ითამაშებენ. ისინი ერთად იყვნენ „ბრეშაში“, „ლაციოსა“ და „ტრევიზოში“, ხოლო წინა სეზონი სხვადასხვა გუნდებში გაატარეს. ანტონიო „ლივორნოში“ იყო, ემანუელი კი — სერია B-ს „ბოლონიაში“.

ლივორნოელთა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ განაცხადა, რომ ემანუელის ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია.

## ლარივეს რივერი კალიარიშია

**„კალიარიმ“** დავიდ სუაზო „ინტერს“ მიჰყიდა, თვითონ კი არგენტინული „ურაკანიდან“ 23 წლის ფორვარდი ხოაკინ ლარივე შეიძინა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ლარივემ გასულ სეზონში 10 გოლი გაიტანა, მისი გადაბირება „რივერ პლეიტსაც“ უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა იტალიაში თამაში არჩია.

## გიგზი ოფიცერია

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ უელსელი ნახევარმცველი რაიან გიგზი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მიღწევებისთვის, ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პატივი წილად „წითელი ეშმაკების“ ექსფორვარდ ტედი შერინგემსაც ხვდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მან მეხუთე ხარისხის ორდენი მიიღო.

## რონალდო ჩაიშალა

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ“ ბრაზილიელი თავდამსხმელის, რონალდოს ყიდვა მოინდომა, მაგრამ უარით გაისტუმრეს. თურქებმა იტალიურ „მილანს“ ფორვარდში 7 მილიონი გირვანქა შეაძლიეს, თუმც ამაოდ — არ იყიდებაო, მოკლედ მოჭრა ადრიანო გალიანიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge